

# დემოკრატიული საქართველო

La Géorgie  
Indépendante  
Revue mensuelle  
AVRIL  
1930—№ 52

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ დ ს პ ა ლ ი ტ ი კ ე ტ რ ი პ ა რ ტ ი ე მ ი ს ო რ გ ა ნ ე .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—ევროპა და საბჭოები.  
ვიკ. ნოზაძე—ევროპა და კავკასია.  
ვაჟი—თ. გ.-მასარიკი.  
მ. მ. სახ. კონფედ. და ფედერ. სახელმწიფო.

ს. შავიშვილი—საბერძნეთის გან. ასი წლ. თავი.  
ბ. ბ.—ბიბლიოგრაფია.  
წლიური ანგარიში ტუბ. ავით. ქარ. დამხ. კომ.  
აჯანყება აზერბეიჯანში და სხვ.

## მ ვ რ ო პ ა დ ა ს ა ბ ზ ო მ ე ბ ი

რამდენჯერ გვსმენია, რამდენჯერ გამოუქედიათ ყურები მოსკოვიტებს, რომ ევროპა კატასტროფის წინა სდგას, დღეს თუ ხვალ სოციალური რევოლუცია იფეთქებს და ჩვენი ჯერიც, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავეთა, ჩქარა დადგებაო. უნდა ითქვას, ეს ყვავის ჩხავილი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო კატასტროფიულია თვით საბჭოთა კავშირის მდგომარეობა, რაც უფრო ნაკლები იმედი აქვთ იქ თავი დააღწიონ მოჯადოებულ წრეს.

რა თქმა უნდა, მოსკოვის წინასწარმეტყველება და ქადილი არავისზე ახდენს აქ შთაბეჭდილებას, საეჭვოა შინაურებზეც ახდენდეს, ტყუილის მტკმელს მართალსაც არ დაუჯერებენო—იტყვიან.

წინამდებ პროცესს აქვს, პირიქით, ადგილი. რაც დრო გადის, ევროპა წინაურდება, ხოლო საბჭოთა კავშირი ქვეითდება, პირველი აღორძინებისა და სამშვიდობო ხანაშია, მეორე იხრწნება და ჯავშანში ზის კაპიტალისტურ მსოფლიოს «თავდასხმის» მოლოდინში.

ყველაზე უკეთესი გამოსავალი სწორეთ ეს უკანასკნელი იქნებოდა მოსკოვისთვის! «გმირულათ» სიკვდილს აბა რაღა აჯობებს, როცა ისედაც კვდებიან თავისივე აშმორებულ ჭაობში.

და ამიტომ არავის ისე არ ეცემა გულზედ, როგორც მოსკოვს, როცა რამე შეთანხმება, რამე დაახლოება ხდება საერთაშორისო ასპარეზედ. მარტი და აპრილი ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებულ ადგილს იკავებს; მაგრამ სწორეთ ამ ორ თვეში გამომქლავნდა საბჭოების ნგრევის აშკარა ნიშნებიც. აქედან გასაგებია მოსკოვის ბრაზი, გინება, ლანძღვა იმათ მიმართ, ვინც ევროპის კონსოლიდაციისათვის ილწვის.

ამის პირველი მაგალითი გერმანია-პოლონეთის

სავაჭრო ხელშეკრულებამ მოგვცა. სრული სუთი წელი ეს ორი მეზობელი ქვეყანა საბაჟო ომში იმყოფებოდნენ, ყოველივე ცდა შეთანხმებისა უქმათ რჩებოდა და ეს გამწვავებული ურთიერთობა პოლიტიკური უნდობლობითაც იწამლებოდა. დღეს ბოლო ეღება ამ არანორმალურ მდგომარეობას, საბაჟო ომი უნდა შესწყდეს და მის ადგილს ეკონომიური თანამშრომლობა დაიკავოს.

არა ნაკლებ საგულისხმიერია მეორე შეთანხმებაც. გერმანიამ და პოლონეთმა ერთის დაკვრით წაშალეს ურთიერთი ფინანსიური პრეტენზიები, დიდი ომის ნაანდერძევი, რომელიც მილიარდებს უდრიდა, და ამ რიგათ ვაჰქრა ეს მუდმივი დავისა და უთანხმოების მიზეზი.

ჩვენ არ გვჭირია ხაზის გასობა, თუ რამდენათ დიდმნიშვნელოვანია ეს დასაწყისი. ვამბობთ «დასაწყისი», რადგან გერმანია-პოლონეთის არა მარტო შეთანხმება, არამედ დაახლოებაც თანამედროვე ევროპის ერთ-ერთი უძნელესი პრობლემაა. მაგრამ მოსკოვი წინ უსწრებს მოვლენათა განვითარებას და ამ თავითვე ამქლავნებს თავის შიშს მომავალზე. რატომ? იმიტომ რომ პოლონეთი, მომწყვდეული გეოგრაფიულათ გერმანიასა და საბჭოთა შორის, ვერ იგრძნობდა თავს უზრუნველყოფილათ; მის წინაშე იდგა და სდგას ორ ფრონტზედ ბრძოლის კითხვა, ვინცობაა თუ მეზობლები აეშალენ. დღეს კი ეს ხიფათი თითქო აცოლებულია, მოსკოვი ასე ასვენის, ყოველ შემთხვევაში, აქედან მისი ბრანშორეულობა.

ადვილათ წარმოსადგენია, როგორ გუნებაზე უნდა დამდგარიყო იგივე მოსკოვი, როცა მან გაიგო იონგის გეგმის რატუფიკაცია ბერლინის და პარიზის მიერ! ჰაავის კონფერენციამ ამ აქტზედ ხელისმომწერით, როგორც საყოველთაოთ აღიარებულია, დიდი

ომის შედეგების ლიკვიდაცია გააკეთა, რეპარაციის საკითხი პოლიტიკურ სფეროდან ფინანსიურ სფეროში გადმოიტანა, რენანის ევაკუაცია რეალობად აქცია... შეიძლება ითქვას, რომ ვერსალის ძალდატანებითი ზავის მაგიერ ჰააგის ნებაცხოფილებითი ზავი შევიდა ძალაში.

იშვიათათ მიუღიათ საფრანგეთის პარლამენტში რომელიმე კანონი ისეთი დიდი უმრავლესობით, როგორც იონგის გეგმა. დეპუტატები და სენატორები, თვით მემარჯვენენიც, არ ერიდებოდნენ საჯარო განცხადებით ნდობა და დაახლოების სურვილი დღევანდელ გერმანიასთან. მეორეს მხრით, ყოფილ მთავარ სარდლის და დღესკი პრეზიდენტ ჰინდენბურგის მიერ იონგის გეგმის დამტკიცება და საგანგებო მიმართვა გერმანიელ ერისადმი საზეიმო მოწოდებით, რომლის კედლებზედ გაკვრა რაიხსტაგმა სოციალდემოკრატების თაოსნობით დაადგინა, არც ისე სწორი მოვლენაა ისტორიაში.

მოსკოვმა რაპალოს ხელშეკრულების გამომწვევრებით უპასუხა ამ ისტორიულ ამბავს! რას შერები—ეკითხება ის ბერლინს—განა რაპალოს და შემდეგი ხელშეკრულებანი დაგვიწყდა? განა მე არ ვიყავი, რომ თავიდანვე გვერდში ამოვიდეთ ვერსალის ზავის წინამდებ ბრძოლაში? მოსკოვი გერმანიის პროლეტარიატის დაცვასაც კისრულობს: იონგის გეგმა მას ყმად აქცევს, ანადგურებსო.

უტიფრობა უფრო შორს ვერ წავა. იონგის გეგმა თავისი ზურგით გაიტანა გერმანიის სოციალდემოკრატიათ, კანცლერ მიულერის მეთაურობით, მოდით და ჰკითხეთ სტალინს, ვის უკეთ ესმის გერმანიისა და მისი პროლეტარიატის ინტერესები!

ჩვენ ვხედავთ, ამ რიგათ, გერმანია-საფრანგეთის დაახლოება პრაქტიკულ სფეროში გადადის. ორივე ძლიერი მეზობელი რწმუნდებიან, რომ ევროპის ბედი თუ უბედობა, ზავი თუ ომი, თანამშრომლობა თუ მეტოქეობა მათ ურთიერთობაზედ ჰკიდია.

მოსკოვს ელანდება სამი დიდი წერტილი: პარიზი, ბერლინი, ვარშავა და მათ შორის გაბმული ჯერ უჩინარი ძაფი! განმარტება ზედმეტია.

ჩვენ დაგვრჩა მესამე დიდი მოვლენა: ლონდონის საზღვაო კონფერენცია. მოსკოვი თავს ინუგეშებს, ეს ხომ მაინც ჩაეფუშათო. სტყუვდება ამაშიც! ლონდონში მიაღწიეს იმას, რაც ენევაში მართლა ჩაეფუშათ, ამ სამი წლის წინ. სამი უძლიერესი სახელმწიფო ზღვაზედ: ინგლისი, შეერთებული შტატები და იაპონია შეთანხმდნენ და ბოლო მოუღეს საზღვაო მეტოქეობას. არ ვეხებით ამ შეთანხმების დადებით შედეგებს, დავასახელებთ მხოლოდ ერთ მათგანს: შეტაკება დიდ ოკეანეზედ ნაკლებ შესაძლებელი ხდება და მით იმსხვრევა მოსკოვის ოცნება ხელი მოეთფო ამერიკა-იაპონიის ცეცხლის წინ.

მაგრამ საფრანგეთი და იტალია ხომ არ შეუერთდნენ საზღვაო შეიარაღების შემცირებას—იტყვიან. საფრანგეთს შეეძლო შეერთებოდა, ნიადაგიც მონახული იყო, მაგრამ არ მოისურვა უიტალიოთ, რომელიც პარიტეტს მოითხოვდა მისგან. აქ მთავარი ისაა, რომ შეერთებული შტატები და იაპონია არ არიან უშუალოთ დაინტერესებული ევროპის საქმეებში, დიდი ბრიტანეთის იმპერიაც ხომ შორეულ ოკეანე-ზღვებზედაა გადაშლილი. მიუხედავად ამისა, ლონდონის ხელშეკრულებაში პირდაპირ ნათქვამია, რომ საფრანგეთი, იტალია და ინგლისი ვალდებულებას იღებენ შეთანხმდნენ ჩქარა მომავალში.

მაშასადამე, ის, რაც გადადებულ იქნა, არ ნიშნავს ჩაფუშვას. პირიქით, დასახელებული სამი სახელმწიფო იძულებული იქნებიან ჩაირიონ საზღვაო მოლაპარაკებაში გერმანია, საბერძნეთი, ოსმალეთი და სხვები. მიდრეკილება იგივეა—ევროპის კონსოლიდაცია, რაიცა მჭიდროთ გადაბმულია ერთა ლიგის პოლიტიკასთან არა მარტო განიარაღების, არამედ საბაყო, საფინანსო და თვით ფედერატიულათ შეკავშირების საკითხებშიც.

ევროპის სამშვიდობო დარაზმვისა და თანამშრომლობის ეს ძლევამოსილი პროცესი, თავის თავთ ცხადია, დიამეტრულათ ეწინააღმდეგება უფსკრულისკენ დაქანებულ საბჭოთა ბნელ და გამთიშავ ზრახვებს. შეუთვისებლობა და ანტაგონიზმი მუდამ იყო ევროპისა და საბჭოებ შორის, მაგრამ დღეს ის იღებს აშკარა და ყველასათვის გასაგებ სახეს. ევროპა იძულებულია, უნდა არ უნდა, დასვას მოსკოვთან დამოკიდებულების კითხვა, ის უკვე სდგას დღის წესრიგში.

მაგრამ მოსკოვი ეხლა სწორეთ დიდ ზეიმშია: მან ხელი მოაწერა მაკდონალდის მთავრობასთან სავაჭრო შეთანხმებას და ოცნებობს ახალ გამარჯვებებზე! ამაო ოცნებაა. განა ხელშეკრულება წინეთაც არ ჰქონდა მოსკოვს ლონდონთან დადებულნი? მერე რა გამოვიდა აქედან? ჩვენ ეხლა არ ვცხოვრობთ იმ ხანაში, როცა შეიძლებოდა თავის მოტყუება ასეთი «მიღწევებით». ვაჭრობა არავისთან არ ჰქონდა მოსკოვს აღკრძალული, დღესაც შეუძლია ივაჭროს, მაგრამ მისი უბედურება იმაშია, რომ გასატანი თანდათან აკლდება და შესატანს ვერ ფარავს მისი ხაზინა. ისმის ისევ კრედიტის კითხვა, და ეს კი შეუძლია გასცეს არა მაკდონალდს, არამედ ბანკირებს და მრეწველებს. როგორია მათი პოზიცია? უარყოფითი.

მაშასადამე, აქაც იგივე მოჯადოებულო წრე, საიდანაც სხვა გამოსავალი არ არის, გარდა ველური რეჟიმის დამხობისა და ერთა განთავისუფლებისა.

მ ვ რ ო ვ ა ღ ა კ ა ვ კ ა ს ი ა

(ბრძოლა ნავთისათვის)

II.

8.

ინგლისელი გენერალი მალლესონი ბაქოში შევლის შესახებ სწერს შემდეგს:

«ჩვენ მივედით იქ მაშინ, როცა ჩვენი მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე კრიტიკული ვახდა: რუსეთი დაიღუპა; გერმანელი და ოსმალი ჯარები კავკასიაში იყვნენ, და მათ ჰქონდათ გარკვეული მიზანი, კასპია გადაელახათ და ცენტრალაზიაში, განსაკუთრებით ავღანისტანში, აჯანყებანი გამოეწვიათ. ჩემი და გენერალ დანსტერვილის მიზანი იყო, ჩვენი თავი გერმანელ-ოსმალოს ჯარებსა და ავღანისტანს შუა დაგვეყენებია. მე მგონია, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობა მართალი იყო, როდესაც მან ასეთი სვლა გვიბრძანა, სვლა... რომელიც სასვებით წარმატებით დასრულდა, ვინაიდან მტერს ნება არ მივეცით, ცენტრალ-აზიაში გასულიყო.»

და არჩიბალდ მური კი ამბობს:

«ჩვენ პირველად გადავჭყრით ენგელიდან კასპიის ზღვა, რათა მტრის ხელში არ ჩავარდნილიყო ბაქოს ნავთი...»

გენერალი მალლესონი ხსნის ბაქოს დაკავებას, როგორც დავინახეთ, სტრატეგიული მოსაზრებით, მური კი ბაქოს ნავთის მიზეზით. რასაკვირველია: ორივე მართალია. როგორც სტრატეგია, ისე ეკონომიკა და ფრონტის ინტერესები ნავთის გულისათვის, თავის გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ ინგლისელების მიერ ბაქოში შესვლის საქმეში.

მაგრამ ინგლისელების სამხედრო ძალა ბაქოში მცირე იყო და როდესაც ბაქოს გარშემო სამხედრო ოპერაციები დაიწყო, ბაქოს მიაღდგენ აზერბაიჯანისა და ოსმალეთის ჯარის ნაწილები, ინგლისელებმა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღეს და ბაქო დასტოვეს. ამის მიზეზი ჯერ კიდევ უცნობია, თუ არ ვიფიქრებთ, რომ ინგლისელებს მეტად მცირე ჯარი ჰყავდათ. 1918 წლის სექტემბერში აზერბაიჯანმა დაიბრუნა თავისი დედა-ქალაქი—ბაქო.

9.

იმ ხანად, როდესაც მუსსავატელები ოსმალების დახმარებით ბაქოსაკენ მიიწევედნენ, გერმანელები და ბოლშევიკები განაგრძობდნენ მოლაპარაკებას მოსკოვში ბრესტიტოვსკის ხელშეკრულების დამატებითი საზავო მუხლების შესახებ. გერმანელებმა ამ მოლაპარაკებაში ბოლშევიკების მიმართ და კარდოდ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიმართ, განსაკუთრებულ პოლიტიკას მიმართეს. გერმანელების ინტერესებში შედიოდა ესლა ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან კეთილ და კარგ განწყობილებაში ყოფილიყვნენ. და იმის მაგივრად, რომ პირდაპირ აზერბაიჯანთან დაეწყათ ლაპარაკი ნავთის შესახებ, მოსკოვს ელაპარაკებოდნენ. რითი აიხსნება ეს?

გერმანელებს სურიდებოდათ მოსკოვის კეთილი განწყობილება. ამას მოითხოვდა დასავლეთის ფრონტის ინტერესები, ნედლი მასალის და განსაკუთრებით

სურსათ-სანოვავის მიღების შესაძლებლობა. ამის შედეგია ბრესტიტოვსკის საზავო ხელშეკრულების 1918 წლის, 17 აგვისტოს დამატებითი ხელშეკრულების მეექვსე თავი, მეცამეტე და მეოთხმეტე მუხლი, რომელიც შემდეგს ამბობს:

«თავი 6: კავკასია. მუხლი 13. რუსეთი იმის თანახმაა, რომ გერმანიამ აღიაროს საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არსება.»

«მუხლი 14, აბზაცი 2: რუსეთი შეძლებისდაგვარად გააძლიერებს ბაქოს რაიონში ნავთის ამოღებასა და ნავთის პროდუქტა წარმოებას და მიღებულ რაოდენობიდან ერთს მეოთხედს, ყოველ შემთხვევაში თვითრად წინდაწინ განსაზღვრულ ტონაჟა რიცხვის მინიმუმს, რომელზეც შეთანხმება უნდა მოხდეს, გერმანიას გადასცემს.»

როგორც ვხედავთ: გერმანიამ დაიცვა, მოსკოვში საქართველოს დამოუკიდებლობა; გერმანიამ ვერ თუ არ დაიცვა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. ამის მიზეზი? არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ამ მოლაპარაკების დროს ბაქოში რუსის პარტიები ბატონობდნენ და რომ იქ იდგენ ჯერ კიდევ ინგლისელები, და მოსკოვი ბაქოს კატეგორიულად თავისად სთვლიდა.

ოფიციალური განმარტება ამ დამატებითი ხელშეკრულების შესახებ, შემდეგს ამბობს:

«ბრესტის ზავში ჯერ კიდევ აღუნიშვნელ ახალ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც შეიქმნენ რუსეთის განაპირა კუთხეებში, საქართველომ, შინაგანი განმტკიცების გზაზე შესამჩნევი წინსვლა მოახდინა. ვინაიდან მოვლენანი, რომელნიც უძლოდნენ ამ სახელმწიფო არსების ხელახლა აღდგენას, შეეფერებოდნენ უკიდურეს დემოკრატიულ დებულებებს, რომლითაც ეხლანდელი რუსეთის მთავრობა მის მიერ გამოცხადებულ თვითგამორკვევის უფლებას განმარტავს, მიღწეულ იქნა, რუსეთის მიერ თანხმობა საქართველოსთვის სანუკვარი აღიარების (ცნობის) მოპოვების შესახებ.»

«რაც დანარჩენ სახელმწიფო არსებათ კავკასიაში შეეხება, ასეთივე დათმობა, როგორც იყო საქართველოსათვის, რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებაში მიღწეულ ვერ იქნა. რუსეთის მთავრობა ბაქოს რაიონის, მისი მდიდარი ნავთის წყაროებითურთ, შენარჩუნებას, უდიდეს ღირებულებას (მნიშვნელობას) აღივსდა; გერმანიას რამდენადაც შეეხებოდა, არ შეეძლო მისი (რუსეთის) სურვილისათვის ანგარიში არ გაეწია, მით უმეტეს, რომ რუსეთმა თავის მხრივ ვალდებულება აიღო, ამოღებული ნავთის ერთი ნაწილი გერმანიისა და მის მოკავშირეთა საქიროებისათვის მიეწოდებია.»

ეს ოფიციალური განმარტება მრავალმხრივ არის საინტერესო. 1) გერმანელები ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელი იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, როდესაც აზერბაიჯანში რუსეთი იბატონებდა. 2) გერმანელები ფიქრობდნენ, რომ შეიძლე-



ბოდა ბაქო რუსეთისათვის დაეთმოთ და ნავთი მანც მიეღოთ. 3) გერმანელები ფიქრობდნენ, რომ ამით ბოლშევიკების ანუ რუსეთის გულს მოინადირებდნენ. 4) ან შესაძლებელია, რომ ფიქრობდნენ: მათი მოკავშირე—ოსმალეთი სულ ერთია ბაქოს დაიკავებს და ამგვარად მოსკოვი ფაქტის წინაშე დადგებაო, უფრო ეს მოსახრება არის მიზანშეწონილი, თორემ ზემო აღნიშნული ოფიციალური განმარტება თავის თავად გერმანული პოლიტიკის შორისმჭვრეტელობაზე არ ლაპარაკობს.

მანც ფაქტია: გერმანიამ ბრესტის დამატებითი სახავო მოლაპარაკების დროს აწერბაიჯანის ინტერესები გასწორა და უკვე 12 სექტემბერს (1918) აწერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობამ გერმანიის საელჩოს კონსტანტინეპოლში აღნიშნულ ხელშეკრულების შესახებ საპროტესტო ნოტა გაუგზავნა.

10.

ჩვენ დავინახეთ. რომ ბაქოს გარშემო შემდეგი დაინტერესებული მხარეები იბრძოდნენ:

1) რუსეთის სოციალისტურსა და დემოკრატიულ პარტიებს სურდათ ქალაქი ბაქო აწერბაიჯანის ხალხისაგან დაეცვათ და იგი ახლო მომავალში, როგორც ისინი მოელოდნენ, გადაეცათ «ნამდვილი რუსეთისათვის» და არა წითელ მოსკოვისათვის.

2) ბოლშევიკები სცდილობდნენ ბაქო შეენარჩუნებიათ მოსკოვისათვის და ბაქოს «სოციალ-მოლატეები» გაენადგურებიათ.

3) აწერბაიჯანის ხალხი მუსავატელების ხელმძღვანელობით იბრძოდა თავისი დედაქალაქის დასაბრუნებლად.

4) ოსმალეთი თავისი ინტერესების მიხედვით, ვინაიდან იგი მოელოდა აწერბაიჯანის შემოერთებას და ასე იოლად ბაქოს ხელში ჩაგდებას, იარაღით აწერბაიჯანის ხალხს ბაქოს დაპყრობისათვის მხარს უჭერდა.

5) წითელი რუსეთი ბაქოს თავის უდავო სამფლობელოდ სთვლიდა და ამ საკითხზე არავის ანგარიშს არ უწყევდა.

6) გერმანია ანგარიშს უწყევდა მოსკოვს, აწერბაიჯანის დამოუკიდებლობის დაცვას ვერ აწერბებდა და მოსკოვის საშვალეებით ფიქრობდა ნავთის მიღებას, რაც ასე აუცილებელი იყო ომის გაგრძელებისათვის.

7) ინგლისელები თავის მხრივ სცდილობდნენ ბაქოში ფეხი მოემარებიათ და თავის მტრებისთვის ხელი შეეშალათ ბაქოში არ შემოსულიყვნენ.

შვიდი მხარე იბრძოდა ბაქოს გარშემო, და ბრძოლა აწერბაიჯანის ხალხის გამარჯვებით დასრულდა.

მაგრამ ამავე დროს დაახლოვებით, დასავლეთის ფრონტზე გადაწყდა ბედი მსოფლიო ომისა: გაიმარჯვა ანტანტამ.

1918 წლის 11 ნოემბრის ომის შეწყვეტის ხელშეკრულების მიხედვით, გერმანიას და მის მოკავშირეებს უნდა დაეცალათ ყველა მათ მიერ დაკავებული მხარე, და ამგვარად, გერმანია-ოსმალეთი იძულებული გახდნენ კავკასიიდან თავისი ჯარის ნაწილები

გაეყვანათ. სამაგიეროთ: ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ, ინგლისმა დაიკავა კავკასია, და კავკასიის რესპუბლიკებმაც თავისი პოლიტიკა ანტანტისაკენ გადახარეს. ეს ბუნებრივი და ლოგიკური იყო.

11.

ინგლისელების მოსვლას კავკასიაში უდიდესი მიზანი ჰქონდა. სტრატეგიულად და გეოგრაფიულად კავკასიის ყოფნა ინგლისის გავლენის სფეროში მთლიანს ხდიდა იმ ხილს, რომელსაც შავი ზღვა არაბეთის ზღვასთან უნდა შეერთებია. ეს ხიდი კი უზარმაზარი მნიშვნელობისა იყო ინგლისის იმპერიისათვის. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამავე დროს ინგლისის ჯარები იდგენ ჩრდილოეთ სპარსეთში და სამხრეთი სპარსეთი კი 1907 წლიდან უკვე ინგლისის გავლენაში იმყოფება. შავი ზღვა, კავკასია, ჩრდილოეთი, ცენტრალი და სამხრეთი სპარსეთი, არაბეთის ზღვა და იქვე ინდოეთი,—იხილეთ გეგმა, რომლის განხორციელება ინგლისის იმპერიისათვის მეტად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ამ საერთო სამიშპერიო მნიშვნელობის გარდა, კავკასიას ჰქონდა ინგლისის პოლიტიკაში, ასე ვსთქვათ, ადგილობრივი მნიშვნელობაც. ესაა: კავკასიის სიმდიდრეთა ექსპლოატაცია, და კერძოდ ნავთის საკითხი.

როგორც უკვე ვიცით, ინგლისის კაპიტალი კავკასიის სანავთო მრეწველობაში ჩაბანდებული მეტად დიდი იყო, და ნავთის მიერ სამხედრო მნიშვნელობის მიღებამ, კიდევ უფრო გაზარდა სურვილი მის ხელში ჩასაგდებათ თუ არა, საკონტროლოდ მაინც.

ამ უკანასკნელ საკითხის შესახებ არჩ. მური სწერდა «ტაიმს»-ში (1929 წ. 10 ივლისი):

«დროებითი ზავის შემდეგ ჩვენ აუარებელი ჯარი შევიყვანეთ კავკასიაში... საერთოდ, რატომ მივედით ჩვენ იქ?.. ჩვენ ვქენით, რათა გვეცადა ბაქოს ნავთიანი ადგილები ხელთ ჩაგვეგდო, მაგრამ ჩვენ არ ვიყავით იმისთვის მომზადებული, რომ მათი გულისათვის გვებროლა...»

და ტრამერი სწერდა «რევიუ უნივერსელ»-ში (1920, 15 ოქტომბერი): «ერთი ესკადრონი, შედგენილი რუსების გემებისაგან... ინგლისელების მიერ შეიარაღებული, ბატონობდა კასპიის ზღვაზე, და ბათუმშიც, შავი ზღვის ნავთსადგური, სადაც ნავთს ღებულობენ გემები, და ბაქო, ნავთის ადგილი, ორივე ინგლისელების ხელში იყო. ისინი, როგორც ეპრიანებოდათ, ისე განაგებდნენ ნავთსა და მაშუთს და თავისი შესყიდვის შესახებ კონტროლზე უარს ამბობდნენ. ინგლისმა აიღო პირველად, ყველაფერი, რაც მას შეეძლო, და მხოლოდ შემდეგში მისცა ნება საფრანგეთს, დანარჩი ნავთი თავისი თავისათვის მიეწოდებია».

ფორმალურად ინგლისი იყო კავკასიაში როგორც ანტანტის წარმომადგენელი, ფაქტიურად ნავთის გამგე იგი ერთად ერთი იყო. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ინგლისმა ნავთი წაართვა ვინმეს, ან მოსტაცა; ან დაეპატრონა, არა! ინგლისი ჰყიდულობდა ნავთს, და სხვას არ უშვებდა მის შესასყიდათ, მით



უმეტეს ბაქოს ნავთის წარმოება მეტად დაცემული იყო (175,1 მილიონი ფუთი) და მარაგი კიდევ მცირე ნავთზე ასეთი მონაპოლიური მყიდველის უფლების გამოცხადება, რასაკვირველია, ინგლისის მოკავშირეებისათვის სასიამოვნო არ იქნებოდა, ამიტომ საფრანგეთის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სენატორი ბერანჟე, თავის მოხსენებაში საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი მოითხოვდა: «კავკასიაში საფრანგეთმა იგივე წილი უნდა მიიღოს, რაც ჩვენმა მოკავშირეებმა»-ო. ამ მოთხოვნილებას, რასაკვირველია, თან მოჰყვა დიპლომატიური ნაბიჯები და დაიწყო მოლაპარაკება ინგლისს-საფრანგეთს შორის კავკასიის ნავთის შესახებ.

12.

ამ მოლაპარაკებების შედეგად,—და ეს სანავთო დიპლომატიური მოლაპარაკება კავკასიის გარდა, სხვა ნავთიან ადგილებსაც ეხებოდა, განსაკუთრებით მოსსულის საკითხს, დაიბადა 1920 წლის სან-რემოს სანავთო ხელშეკრულება. ამ ცნობილი სანავთო ხელშეკრულების მეექვსე მუხლი ეხება რუსეთის იმპერიის ყოფილ მხარეთ და ამბობს შემდეგს:

— იმ მხარეებში, რომელნიც ეკუთვნოდნენ ყოფილ რუსულ იმპერიას, ორივე მთავრობას (საფრანგეთსა და ინგლისს) სურს თავის მოქალაქეებს საერთო დახმარება გაუწიონ იმ მიზნით, რომ მათ მოიპოვონ ნავთის გამოზიდვა! მაშასადამე, ინგლისმა და საფრანგეთმა სანავთო საკითხში გამოჩინეს საერთო ენა, რაც კავკასიისათვის მნიშვნელოვანი უნდა გამხდარიყო, მაგრამ პოლიტიკურმა ბედმა ასე არ ინება.

13.

რამდენიმე ხნის შემდეგ ინგლისელებმა დასტოვეს საერთოდ კავკასია, და დარჩნენ მხოლოდ ბათუმში. რამ გამოიწვია ინგლისელების წასვლა?

იმისი თქმა, რომ ინგლისელებმა დაჰკარგეს ინტერესი ნავთის საკითხისამ, შეცდომა იქნებოდა. მიზეზი რამოდენიმეა და სხვაგან უნდა ვეძებოთ. პირველი მიზეზია: ინგლისელების მდგომარეობა სპარსეთში, სადაც მათი ჰეგემონიური ყოფნა სპარსეთის პოლიტიკურ წრეებში შეირყა, და სპარსეთის გაღვიძებული ნაციონალიზმი ინგლისელებს შეებრძოლა,— აქ ინგლისი ჰკარგავდა თავის ნიადაგს და ზემოდ აღნიშნული დიდი ვეგმა იშლებოდა, და შექმნილ პოლიტიკურ ვითარებათა გამო, რომლის შესახებ აქ სიტყვას ვეღარ გავაგრძელებ, იძულებული გახდა სპარსეთი დაეტოვებია.

მეორე მიზეზი თვით ინგლისის ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობაშია. სწორედ ამ დროს შექმნეს ინგლისში ეგრედ წოდებული ჯედის კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა ბრიტანეთის ბიუჯეტში ხარჯების შემცირება და გირვანქა სტერლინგის სტაბილიზაცია; ამას თან მოჰყვა ინგლისელების ჯარის გაყვანა შუა და წინა აზიიდან.

შემდეგი მიზეზია, ინგლისის მუშათა პარტიის მოთხოვნილება საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებუ-

ლების შექმნის შესახებ, რაც დამყარებული იყო იმ გულუბრყვილო მოსაზრებაზე, რომ ამ დამოკიდებულების შექმნა, გამოიწვევდა ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერებასა და ამნაირად უმუშევრობის საკითხის მოგვარებას.

შეიძლება იყო კიდევ სხვა მიზეზი, რომელმაც როლი ითამაშა კავკასიიდან ინგლისის ჯარების წასვლაში, მაგრამ ამ წასვლით ინგლისელებს უარი არ უთქვამთ მაინც თავის სანავთო ინტერესებზე. წარმოსდგა ახალი საკითხი, რომ ინგლისელ ჯარების მაგივრად კავკასიაში შემოსულიყვენ ანტანტის სხვა რომელიმე სახელმწიფოს ჯარები.

ეს საკითხი დაისვა ანტანტის სახელმწიფოთა შორის, და იტალიამ აიღო თავის თავზე კავკასიაში ჯარების გაგზავნა. ამ საქმის შესახებ ჩვენ გვაქვს ერთად ერთი მოწმობა იტალიის ყოფილ პრემიერ მინისტრ ფრანჩესკო ნიტტისა, რომელიც სწერს შემდეგს:

«როდესაც მე, 1919 წლის ივნისში მთავრობის ხელმძღვანელობა ხელთ ავიღე, საქართველოში გასაგზავნი იტალიური სამხედრო ექსპედიცია წასასვლელად უკვე მზად იყო. ინგლისელი ჯარები, რომელნიც დიდ ძალას არ წარმოადგენდნენ, მიდიოდნენ. ამიტომ იტალიამ მოკავშირეების თანხმობით, ნაწილობრივ მათი სურვილებისამებრ, მოამზადა დიდი სამხედრო ექსპედიცია. მეთორმეტე არმიის კორპუსი, ინფანტერიის ორი დივიზია და ერთი ნაწილი ალპელ მსროლელთა, წასასვლელად მზად იყვნენ.

«საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ბუნებისაგან არაჩვეულებრივი სიმდიდრით არის დაჯილდოებული, და სწამდათ, რომ, მას შეეძლო იტალიისათვის მიეცა მრავალი ნელლი მასალა, რომლის ნაკლებობა იტალიისათვის საგრძნობი იყო. რამაც მე გამაკვირვა, ეს ის იყო, რომ არამც თუ მარტო მთავრობის წევრები, არამედ განათლებული ფინანსისტები და მეტად მოწინავე, დამოუკიდებელი მოაზროვნე ხალხიც, დიდი მომხრე იყვენ იმ ექსპედიციისა. მე პირიქით, ზოგიერთი წინააღმდეგობის მიუხედავთ, მსურდა ასეთ საქმეზე უარი მეთქვა, და მარტო იმაზე გაჩერდი, რომ საქართველოსთან საქმიანი კავშირი (ვაჭრობა-მრეწველობის) დაგვეყირა. რასაკვირველია, ჩჩევა, რომელიც მოკავშირეებმა იტალიას მისცეს, კეთილი მიზეზით იყო გამოწვეული; მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევაში ექსპედიციას ის შედეგი ექნებოდა, რომ იტალია მოსკოვის მთავრობასთან პირდაპირ ომში გაებმოდა და ეს ექსპედიცია გადაიქცეოდა ისეთ ავანტიურად, რომლის შედეგები წარმოუდგენელი იყო...»

ამგვარად, ნიტტის გადაწყვეტილების თანახმად, იტალიის მთავრობამ ჯარების გამოგზავნა კავკასიაში შეაჩერა. და ამ დროს თვით კავკასიაში და კავკასიისადმი დიდ მოვლენათა მზადება იწყებოდა: წითელი რუსეთი უახლოვდებოდა კავკასიას და კავკასიის ქედზე უნდა გადაჭრილიყო კავკასიის ხალხთა ბედობლი.

თ. ზ. - მ ა ს ა რ ი კ ი

ამა წლის 7 მარტს ჩეხოსლოვაკიის პირველ პრეზიდენტს თომაშ გარრიკ-მასარიკს 80 წელი შეუსრულდა. და აი ეს ბედნიერი ამბავი მთელმა რესპუბლიკამ საისტორიო დღეთ გამოაცხადა და იგი მთელმა ერმა იდღესასწაულა. იდღესასწაულა დიდმა და პატარამ, მოხუცმა და ახალგაზრდამ, ქალმა და კაცმა, მუშამ და კაპიტალისტმა, გლეხმა და მემამულემ, სახელმწიფომ და საზოგადო დაწესებულებამ. იდღესასწაულეს უცხო ქვეყნებში მყოფმა ჩეხოსლოვაკებმა. ეს დღე აღნიშნეს აგრეთვე მეგობარმა და მეზობელმა სახელმწიფოებმა და იუბილარს პირადად მიულოცა ბევრმა გამოჩენილმა საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწემ.

მართლაც რომ ბედნიერი დღეა, როგორც მთელი ერისთვის, ისე პირადად იუბილარისთვის. საერთოდ ერის ისტორიაში ასეთი დღე ძვირია და ასეთი იუბილარი—ცოტა. 7 მარტი ასეთ გამონაკლისს დღეს წარმოადგენს და მასარიკი ასეთ იშვიათ იუბილარს.

რით დაიმსახურა მასარიკმა ასეთი პაპულიაობა, სიყვარული და პატივისცემა?

პასუხი მოკლეთ ასეთია: მასარიკის 80 წელი ჩეხოსლოვაკიის აღორძინების, ბრძოლისა და გამარჯვების წელია. მასარიკი ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიის პირმშოა შვილია, მისი ძუძუთი აღზრდილი, მისი მებრძოლი და მისი ბელადი, მისი განმათავისუფლებელი და მისი პირველი პრეზიდენტი. მასარიკის გამარჯვება—ერის თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების გამარჯვებაა. ამიტომ მას პატივისცემს ყველა, ვისაც კი თავისუფლება უყვარს და დემოკრატია სწამს.

კერძოდ ჩეხოსლოვაკია მას აღმერთებს, ლეგენდარულ გმირათ ხდის და ვაცლავის, ლუხის, ყიჟკას და კომენსკის გვერდით აყენებს. შეიძლება ეს «გაღმერთება» გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ არ არის დასაძრახისი, ვინაიდან სიყვარული ასე უანგაროდ და წმინდაა. იგი სიცოცხლეშივე უღდამს მას ძეგლს.

დედა შვილს პატარაობიდანვე ასწავლის, თუ ვინ არის «დედიჩეკ» მასარიკი და რატომ კიდია ოთახში მისი სურათი. დედა ბედნიერად გრძობს თავს მით, რომ მას შეუძლია მოუთხროს თავის პირმშოს ბევრი რამ სასიქადულო და საინტერესო ამბავი თავისი საყვარელი გმირის ცხოვრებიდან, ხოლო ბავშვი გახარებულია მით, რომ მას ასეთი კარგი «დედიჩეკი» ყავს და მასაც შეუძლია ასეთი გახდეს, როცა იგი დიდი გაიზდება. განა მასარიკმა არ უთხრა ბავშებს—მოვესალმები თქვენ შორის მყოფ მომავალ პრეზიდენტსაო! ბაბუასაც და შვილიშვილსაც სწამს, რომ პრეზიდენტობა იქნება. ბავშმა იცის, რომ ეს «ზღაპარი» მისი მშობლებისა და მეზობლების ამბავია, ამბავი ჯერ მწარე, მაგრამ მერმე ტკბილი და სასიხლო, რომლის მთავარი გმირი «ოქრუს» პრადლში ცხოვრობს და რომლის ნახვაც მას შეუძლია.

ქვეშარტათ, მასარიკის ცხოვრება და მოღვაწეობა, მართლაც რომ სახლპარო და საშვილიშვილო ამბავია. მასში ჩაქსოვილია: მეეტლისა და მხარეუ-

ლი ქალის «ლუკმა პურის ამბავი», მკედლისა და ლარიბი სტუდენტის ცხოვრება, პროფესორისა და პოლიტიკური მოღვაწის მუშაობა, სოციალისტისა და პატრიოტის ბრძოლა, გაბატონებული და ჩაგრული ერის ურთიერთობა, მსოფლიო ომისა და რევოლუციის ისტორია, ერის ბელადისა და პრეზიდენტის თავგადასავალი.

მასარიკის ბიოგრაფი დ-რ გერბენი სამართლიანად აღნიშნავს: ჩეხოსლოვაკიას მე-19 და მე-20 საუკუნე არ ყოფილა მასარიკზე უფრო დიდი პიროვნება, რომელიც მას ხასიათის სიმტკიცით, გამპრიახობით და ენერგიით შეედრებოდესო.

მასარიკის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, ალბათ კიდევ ბევრი დაიწერება. ცნობილია ს. დ-მა სოუჟუშმა საიუბილეოდ ოთხას გვერდიანი წიგნი: «მასარიკი როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელი, სოციალისტი რეფორმატორი და სახელმწიფოს პრეზიდენტი», დასწერა. მეტათ კარგი წიგნია, სხვაც კიდევ ბევრია დაწერილი. მაგრამ «ესე ამბავი ჩეხური ქართულათ ნათარგმანებით», მეტათ გრძელია და მოკლეთ მისი გადმოცემა საგაზეთო წერილში ადვილი საქმე არ არის და ძლიერ ვშიშობ, რომ იგი იუბილარის შესაფერისად ვერ შევასრულა.

ამბავი ესე იწყება 7 მარტს პატარა ქალაქ ლოდონში, რომლის მცხოვრებთა დიდ უმეტესობას სლოვაკები შეადგენენ და რომელიც სძევს სლოვაკიისა და ჩეხიის საზღვარზე. აი აქ, ამ დღეს, ლარიბი მეეტლე იოსებ მასარიკის ოჯახში იშვა ჩეხოსლოვაკიის პირველი პრეზიდენტი, რომელსაც თანახმათ დაბადების დღისა, თმაში უწოდეს. მასარიკის მამა შთამომავლობით სლოვაკი იყო, ხოლო დედა-ჩეხი. ამის გამო ამბობს მასარიკი, ჩემში წმინდა ჩეხოსლოვაკური სისხლი ჩქეფდა. ისტორიას უნდოდა ალბათ, რომ ეს უბრალო შემთხვევითი მოვლენა დიდ მნიშვნელოვან ფაქტათ ექცია და კაცი, რომელიც წარმოიშვა სლოვაკიისა და ჩეხიის დაქორწინებით, გამხდარიყო ჩეხიისა და სლოვაკიის აღორძინებისა და განთავისუფლების სიმბოლოთ.

რომ ავსტრო-უნგრეთის იმპერატორს ფრანც იოსებს სცოდნოდა, რომ ამ დღეს დაიბადა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, იგი იროდ მეფესავით თუ არ გასცემდა ბრძანებას—დახროცეთ ამ დღეს დაბადებულნი ყველა ყრმანი, ყოველ შემთხვევაში ისეთ ზომებს მაინც მიიღებდა, რომ მეეტლეს შვილი თმაში ცნობილი პროფესორი არ გამხდარიყო. მაგრამ ფრანც იოსებმა ეს არ იცოდა არც მაშინ და არც შემდეგ, როცა ახალგაზრდა სწავლულს მასარიკს მისი მინისტრი პრადის უნივერსიტეტის ჩეხური განყოფილების პროფესორათ ნიშნავდა. მან ეს ვერ გაიგო ვერც მაშინ, როცა დეპუტატი პროფესორი მასარიკი იმპერიის პარლამენტში მოსიგან ჩეხიის და სლოვაკიის ერის უფლებების აღდგენას მოითხოვდა.

მასარიკმა იცოდა, თუ ვინ იყო და რა იყო ფრანც იოსები, და მისი იმპერია, ხოლო ფრანც იოსებმა არ იცოდა ვინ იყო მასარიკი და რას წარმოადგენდა ის



ძალა, რომელიც მან ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიის სახით შეაკავშირა. ავსტრიის იმპერატორმა სხვა ბევრი რამ კიდევ არ იცოდა. მაგალითათ მან არ იცოდა, რომ ომი, რომელიც 1914 წ. ავღოსტოში მისი ბრძანებით დაიწყო, მასა და მის იმპერიას საფლავში ჩაიტანდა. სამაგიეროთ ეს კარგათ იცოდა პროფ. მასარიკმა, ამიტომ ფრანც იოსებმა გაბსბურგების გვარის იმპერატორობა დაასრულა, ხოლო მასარიკმა ამ ხანიდან იწყო ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტობა. სლუკუპის სიტყვით: მუშის შვილმა გამსბურგები დამარცხა.

რასაკვირველია ჩეხოსლოვაკიასა და პროფ. მასარიკს ეს გამარჯვება უბოძოლველათ და ერთი შეტევით არ მოუპოვებიათ. მას გრძელი ისტორია აქვს. ჩვენ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ მას.

დამოუკიდებლობა ჩეხიამ მე-16 საუკ. დაკარგა, მას შემდეგ, რაც იქ გამეფდა გაბსბურგების დინასტია. ეროვნულათ შევიწროებულმა ჩეხიამ 1620 წელს აჯანყება დაიწყო, მაგრამ თეთრ გორასთან ბრძოლაში დამარცხდა. ფერდინანდ II ცეცხლითა და მახვილით იძია შური მასზე: მეთაურები დახვრიტა, მთელი მიწის ოთხი მეხუთედი მკვდრი მცხოვრებს ჩამოართვა და თავის მთხრე ავსტრიელებს დაურიგა, დაუწყო ღვერა ეროვნულ კულტურას, ენას და სარწმუნოებას. ყველა ამის გამო 30 ათასი ოჯახი იძულებული შეიქნა სამშობლო დაეტოვებია, მათ შორის იყვენ ცნობილი მოღვაწენი ამოსი და კომენსკი. მოკლეთ, ჩეხიაზე მაშინ დაახლოვებით ისე იძიეს შური, როგორც 1863 წ. პოლონეთზე და 1924 წ.—საქართველოზე. ჩეხია ამან დიდი ხნით გასტეხა წელში. გაბსბურგები თავს გამარჯვებულათ გრძობდენ, მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა.

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, ნაპოლეონის ომებმა, 1848 წ. რევოლუციებმა ევროპაში და იტალიის, ბელგიის, უნგრეთის და პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლებმა, ჩეხიაზეც იქონიეს გავლენა და მის ეროვნულ გამოფხიზლებასა და დარაზმვას ხელი შეუწყო. 1863 წლ. პოლონეთის აჯანყებამ თვით მასარიკზეც იქონია პირდაპირი გავლენა და 13 წლის თადეუმს პოლონური ენის შესწავლის სურვილი აღუძრა. მეცხრამეტე საუკუნეში ჩეხიას და სლოვაკიას გაუჩნდენ ისეთი დიდი მოღვაწენი და მოაზროვნენი, როგორც იყვენ: დობროვსკი, იუნგმანი, შაფარიკი, კოლლარი და პოლაკი. მათ ჩაუყარეს ჩეხიის ეროვნულ ლიტერატურას და მოძრაობას მტკიცე საფუძველი. თვით მასარიკი მათ მემკვიდრეთ თვლის თავს. ამ ხანიდან ერმა ისევ იწყო დარაზმვა ეროვნულათ, კულტურულათ და ეკონომიურათ და განაახლა თავის ეროვნულ უფლებებისთვის ბრძოლა გაბსბურგების წინააღმდეგ.

ეს ბრძოლა გათავდა 1918 წ. 28 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის გამარჯვებით და გაბსბურგების იმპერიის სრული დაშლით. დამარცხდა ძალმომრეობა და გაიმარჯვა სამართლიანობამ და დემოკრატია.

ხანგვარ საუკუნეზე მეტი ამ ბრძოლის წინა რიგებში იდგა პროფ. მასარიკი. მან თავიდანვე ამ მოძრაობას თავისებური მასარიკული სახე მისცა და იგი მოძრაობის ახალ ლიანდაგზე გადაიყვანა. მაგრამ

დიდი შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ჩეხიის საზოგადოებრივი აზროვნება მას თავიდანვე იოლათ გაყვა და მისი ავტორიტეტი იცნო. ეს ასე არ ყოფილა. მასარიკის ცხოვრებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის გზა თავიდანვე ნარ-ეკლიანი იყო. ვარდი მან მხოლოდ მაშინ გამოიღო, როცა მასარიკს 70 წელი უსრულდებოდა. მასარიკის—ბავშობა, მოწაფეობა, სტუდენტობა, პროფესორობა და პოლიტიკური მოღვაწეობა, მხოლოდ მოუსვენარი ცხოვრება და ბრძოლაა.

მუშის შვილისთვის ძნელი იყო სკოლაში შესვლა. ორ კლასიანი სასწავლებლის გათავების შემდეგ, მასწავლებლის რჩევით, მშობლებს ნიჭიერი თადეუმის სამასწავლებლო სემინარიაში შეყვანა სურდათ, მაგრამ ხანის სიმცირე მას ამის ნებას არ აძლევდა, ამიტომ მამამ 3 წლით ბავშვის მოცდენას, სამკედურში შევირდათ მიცემა ამჯობინა. ერთი წლის შემდეგ თადეუმმა დასტოვა იგი. მას უნდა გამოსჭედოს თვისი ბედი, მაგრამ არა აქ, არამედ უნივერსიტეტში.

გერმანულ გიმნაზიას დიდი ვაივაღლანით ათავებს, ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, ლუკმა პურს თვითონ შოულობს, მეფურნის ქალიშვილს ვასწავლიდი და ამისთვის პურს მაძლევდენ საქლამათო, ამბობს იგი თავის მოგონებაში. გიმნაზიას მისგან უნდა გერმანული შექმნას, მასარიკს კი ჩეხობა უნდა და ბერძნულისა და ლათინურის მასწავლებელს ეუბნება: თქვენ ჩემგან მოითხოვთ ბერძნული და ლათინური სიტყვები გერმანული მიმოხვრით გამოვსტქვა მაშინ, როცა იგი ჩეხური გამოთქმით უფრო მეგრნებაო.

ასე თუ ისე, მასარიკი თავისი საკუთარი შრომით და ენერგიით სძლევს ყველა დაბრკოლებებს და 1872 წელს ათავებს ვენაში გიმნაზიას და აქვე შედის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ის ჯერ კიდევ გიმნაზიელი დაუახლოვდა ვენის უნივერსიტეტის პროფ. ალოიზ შემბერს და ისმენდა მის ლექციებს ჩეხური ლიტერატურის შესახებ. სტუდენტი მასარიკი კიდევ უფრო უახლოვდება ჩეხურ საზოგადოებას და მასში მონაწილეობას იღებს. მან აგრეთვე მოინდომა სოვიან სტუდენტობის შეკავშირება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან პოლონელებმა უარი სთქვეს რუსებთან ერთათ მუშაობაზე.

სტუდენტმა მასარიკმა ყურ. «პროსვიტეს» თანამშრომლობა მოისურვა და ამ მიზნით მას შობენაჟურის ფილოსოფიის შესახებ წერილი გაუგზავნა. რედაქციამ უპასუხა: ჩეხი მწერალი გინდათ იყოთ და ჩეხური კი კარგათ არ იცითო. მასარიკი დამნაშავე არ არის, რომ არ იცის. არც ოჯახსა და არც სკოლას მისთვის ჩეხური არ უსწავლებია. დედა ჩემმა ჩეხურიც იცოდა, ამბობს იგი თავის მოგონებაში, მაგრამ გერმანული უკეთ ეხერხებოდა და ლოკვითაც გერმანულათ ლოკულობდა ბოლომდისო.

1876 წელს მასარიკი სწერს სადისერტაციო შრომას პლატონის ფილოსოფიის შესახებ და იღებს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს, რის შემდეგაც იგი მიდის ლეიპციგში მეცნიერების გასაგრძელებლათ. აქ იგი მუშაობს გამოჩენილი პროფესორების ხელმძღვანელობით და ხდება დოცენტი. ამ დროს მან

უკვე იცის—ფრანგული, ინგლისური, პოლონური, იტალიური, რუსული და არაბული ენები.

ლეიპციგში მასარიკი ეცნობა სტუდენტ ქალს შარლოტა გარრიკს, უახლოვდებიან ერთმანეთს და ქორწინდებიან. ამერიკის ჩვეულების თანახმად მასარიკი იღებს ცოლის გვარსაც. მათ შეუღლებას დიდი მნიშვნელობა ქონდა, ამ დღიდან შარლოტა გარრიკი მასარიკის განუყრელი თანამშრომელი და თანამებრძოლია.

1882 წელს პრალის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყოფა ჩეხურ და გერმანულ განყოფილებათ. ავსტრიის განათლების მინისტრი მასარიკს, იმ იმედით, რომ მას გერმანული განათლება აქვს მიღებული და ლოიალური იქნება, ნიშნავს ექსტრა-ორდინარ პროფესორათ. მთავრობა ანგარიშში მოტყვიოდა, მასარიკმა პირველმა გამოსცა ჩეხურ ენაზე სტუდენტებისთვის სახელმძღვანელო და იგი მალე გახდა პოპულიარული პროფესორი. მისი ლექციები ყოველთვის სავსეა მსმენელებით. ამ მხრით ის ძლიერ გვაგონებს მსსკოვის უნივერსიტეტის ცნობილ პროფ. ვ. კლიუჩევსკისა დას. მურომცევს. იგი საყვარელი პროფესორია არა მარტო ჩეხებისა და სლოვაკელებისთვის, არამედ უცხოელ სტუდენტობისთვისაც, რომელთა რიცხვი პრალაში დიდია, მაგრამ ასე არ აფასებს ჩეხი-სკონსერვატიული საზოგადოება მასარიკს, ის მას ძილს უფრთხობს და პრალის არქიპეპისკოპოსის პირით მეფის მოადგილეს ტუნს სთხოვს, არ დაამტკიცონ მასარიკი პროფესორათ, ვინაიდან იგი ნილილისტია.

1886 წ. მასარიკი მეტათ გაბედულ ნაბიჯს სდგამს და ამტკიცებს, რომ ეგრეთ წოდებული «კრალედვორისა და ზელენეგორის ხელთნაწერები» ყალბია და მათზე აგებული ისტორია სიმართლეს არ შეიცავს. ამით მასარიკმა მთელი რევოლუცია მოახდინა ჩეხიის კულტურისა და აზროვნების ისტორიაში. მას ამის გამო მყავე პატრიოტები აუშხედრდენ, მაგრამ მასარიკი იმათ რიცხვს არ ეკუთვნის, რომელთაც უკან დახევა სჩვევიათ. მასარიკი მოწინამდევთ უზახსულებს: ჩეხიას ისეთი მდიდარი წარსული აქვს, რომ მას თავის ისტორიისთვის ყალბი საბუთების შეთხზვა არ სჭირდება და ჩეხურ ერს მანამ არ ექნება ჭეშმარიტი მეცნიერება, სანამ იქიდან განდევნილი არ იქნება სიყაობეა.

ამ რიგათ მასარიკი სავსებით ჩაება ჩეხიის საზოგადოებრივ ბრძოლაში. პოლიტიკურ მებრძოლისთვის კი, საჭიროა ორგანიზაცია და პრესა. ამ მიზნით მასარიკი 1887 წ. აარსებს არალეგალურ საზოგადოებას «მაფიას» და ჟურნალ «ჩას» (დროება). რომელსაც მალე აუშხედრდენ. ჟურნალისტმა შაუერმა მასში მოათავსა წერილი, სადაც იგი გულანდილათ უთითებდა ჩეხიის ერს მის ნაკლუვანებაზე და თან აფრთხილებდა—თუ საფუძვლიანათ არ შეიარაღდი თანამედროვე კულტურით, განადგურება მოკვლისა.

ნაციონალისტებმა ეს ხელზე დაიხვიეს და მასარიკის წინამდევ განგაში ასტეხეს. ნაროდნი დემოკრატების გაზეთმა «ნაროდნი ლისტნი» მასარიკს შემდეგი სიტყვებით მიმართა: დაიკარგე ჩვენგან შენ საძაგელო და წადი მტერთან, რომელსაც შენ ემსახურები. დაივიწყე, რომ შენ გშვა ჩეხმა დედამ და დაიარე-

ბოდი ჩეხიის მიწაზე. ჩვენ კი გრიცხავთ ჩვენი წრიდან ვითარცა მავნე მატლს და გირჩევთ დასტოვო ჩვენი წმინდა ქვეყანა მანამ, სანამ მიწა არ გაწყვეტია და მას არ ჩაუნთქავხარო.

მაგრამ მასარიკი არც მათ «რისხვას» უშინდება, ვინაიდან სწამს, რომ, მოყვარეს პირში უძრახვენ და მტერს კი, ზურგს უკან. მასარიკი სიმართლის რაინდია და ისიც იქ არის, სადაც იგი დაცვას საჭიროებს. 1899 წ. ჩეხიაში «ბელისიიადას» ქონდა ადგილი. ტყეში მოკლული გოგონა ნახეს და მკვლელობა ებრაელებს მიაწერეს, რისთვისაც ებრაელ გილზნერს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მასარიკმა უსამართლო განაჩენის გამო ხმა აღიმალა. ჩეხურსა და გერმანულ პრესაში წერილები მოათავსა და საქმის გადასინჯვა მოითხოვა. რეაქციონური საზოგადოება ამის გამო მას აუშხედრდა, «ყიდების» მიერ მოსყიდულათ გამოაცხადა და ქვეებით ფანჯრები ჩაუშტვრია.

ასეთია მოკლეთ, მასარიკისა და კონსერვატიულ საზოგადოების დამოკიდებულება.

სულ სხვაგვარი ურთიერთობა დამყარდა თავიდანვე მასარიკსა და ჩეხ-სლოვაკიის დემოკრატიას შორის. მასარიკი მხოლოდ დიდი მეცნიერი და პოლიტიკოსი კი არ არის, სთქვა საიუბილეო დღეებზე ჩეხიის სოც. დემოკრატის ერთ ლიდერთაგანმა დამპლმა, არამედ იგი დემოკრატისა და პროგრესის სიმბოლოც არის. ამ გზით მუშათა კლასი სოციალიზმამდისაც მივა. მან ჩვენ ახლოს და ჩვენთან ერთათ განვლო განუზომელი მუშაობა. იგი იქ იყო ყოველთვის, სადაც ადამიანის ცხოვრების საუკეთესო მოწყობისთვის ბრძოლა სწარმოებდა და ამიტომ უყვარს მშრომელთ მასარიკი უზომოთო.

რომ ქართველი მკითხველი კარგათ იცნობდეს ჩეხიის საზოგადოებრივ ისტორიას, მაშინ სოც.-დემ. დამპლის დახასიათებას აღარას დაუმატებდი, მაგრამ რადგან ეს ასე არ არის, მეც ამიტომ შევჩერდები ზოგიერთ ფაქტებზე.

მასარიკის სასიქადულოთ უნდა ითქვას, რომ მან თანამედროვე დემოკრატია და კერძოთ მუშათა კლასი, თავიდანვე სისწორით დააფასა. საერთო საზოგადოებრივი ცხოვრება და აგრეთვე ეროვნული მოძრაობაც, მისი აზრით, ჩვენი დროის ამ ორ უდიდეს ფაქტორს, გვერდს ვერ აუვლის. ამიტომ იგი ახალგაზდობიდანვე დაუახლოვდა მუშათა კლასს და ჩეხიის დემოკრატულ წრეებს.

მასარიკი ეწევა მუშებს შორის კულტურულ მუშაობას, უკითხავს ლექციებს მათ და აძლევს რჩევა-დარიგებებს. 1900 წ. იანვარში კლანდონში მემალაროებმა დიდი ეკონომიური გაფიცვა გამოაცხადეს, მასარიკი მიდის იქ, ამბობს გაფიცულების კრებაზე სიტყვას და ეუბნება მათ: 8 საათისა და სხვა თქვენი მოთხოვნილება სამართლიანია, მაგრამ რომ მოიგოთ იგი, ამისთვის საჭიროა სიმტკიცე, სოლიდარობა და შეკავშირება. გაფიცულები მასარიკს დიდი ოვაციებით ისტუმრებენ სადგურიდან. მთავრობისთვის და ე. წ. საზოგადოებისთვის. პროფესორი ავიტატორი მაინც და მაინც ვერ არის მოსაწონი პირი.

1891 წ. ჩეხიის სოც. დემოკრატიათ თავისი ყოველდღიური გაზეთი «პრავა ლიდუ» დააარსა. მასა-



რიკი ამ ფაქტს სიხარულით შეხვდა, თავის ნაცნობთა შორის შეაგროვა 1000 ოქროს მარკა და რედაქციას განუთხრო ფონდისთვის გადასცა.

1897 წ. ჩეხის სოც. დემ. პარტიამ რამოდენიმე დეპუტატი გაიყვანა საიმპერიო პარლამენტში. მასარიკმა მათ ურჩია, ესარგებლათ ეს ისტორიული შემთხვევა და დეკლარაციაში მოეთხოვათ ჩეხის სახელმწიფოებრივი უფლებები. სოციალდემოკრატებმა მისი წინადადება არ მიიღო. დეკლარაციამ ნაციონალისტებში დიდი აურზაური გამოიწვია, სოც. დემოკრატია ერის მოლაპარაკებელად გამოაცხადეს და ქვე და ლლდი დაუშინეს. მიუხედავად იმისა, რომ მასარიკი დეკლარაციის ეროვნულ მოთხოვნებს არ იზიარებდა, იგი სოციალდემოკრატების დამცველად გამოვიდა და განაცხადა: ის, რაც სოც. დემოკრატებმა თავის დეკლარაციაში სთქვა, სამშობლოს ღალატისკენ არ არის, არამედ პოლიტიკური შეხედულება, რომელსაც ჩეხის საზოგადოებაში მიმდევრები ყავს.

1890 წ. მასარიკმა «რეალისტების» პარტია დააარსა და დღევანდელ ნაორონი დემოკრატების ლიდერ კრამარუჟან ერთად ახალგაზდა ჩეხთა მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. ერთი წლის შემდეგ ისინი პარლამენტში იქნენ არჩეული. მაგრამ მასარიკი იძულებული გახდა უარი ეთქვა მანდატზე და დაეტოვებინა, როგორც პარლამენტი, ისე ჩეხის სეიმი, ვინაიდან იდეურმა მოწინააღმდეგებმა მის წინამდებე უსინდისო კამპანია დაიწყეს.

სამაგიეროდ მუშათა კლასი და სოც. დემოკრატია მასარიკს ამოუდგა გვერდში 1897 წ. არჩევნებში იგი თავისი ხმებით აირჩია დეპუტატად საიმპერიო პარლამენტში.

მასარიკისა და ჩეხის სოციალდემოკრატების ეს ურთიერთობა გვაგონებს გიორგი წერეთლისა და მესამე დასის ერთმანეთთან დამოკიდებულებას. ასეთი კარგი განწყობილება მასარიკსა და მუშათა კლასს შორის ბოლომდის დარჩა. მთელს ქვეყანაზე არ არის სახელმწიფოს სათავეში მდგომი მეორე პირი, ნათქვამია ჩეხ-სლოვაკიის სოც. დემ. მიერ პრეზიდენტისთვის მიერთმეულ ადრესში, რომლის გარშემო მუშათა კლასი ასე გულწრფელად იკრიბებოდადეს, როგორც მასარიკი, და ეს იმიტომ, რომ მასარიკი ცოცხალი განმარტოვებდა, კაცობრიობის უმაღლეს იდეალს—სიმართლისა და სამართლიანობისო.

მასარიკი უყვარს ჩეხ-სლოვაკიის გლეხობასაც და მის პარტიას რესპუბლიკანურ დემოკრატებს. მათმა ბელადმა ურდუამ, რომელიც დღეს მთავრობის თავმჯდომარეც არის, მასარიკს საპასუხოდ სიტყვაში უთხრა—შენ უშუგიათესი შვილი ხარ ჩეხ-სლოვაკიის ერისო.

1900 წ. მასარიკმა თავის ახლო მიმდევრებთან ერთად დააარსა ჩეხური სახალხო პარტია (პროგრესისტთა) და ამ დღიდან დეპუტატად პარლამენტში ამ პარტიის სახელით ირჩევენ მას.

როგორც მეცნიერმა, მასარიკმა დოცენტობიდანვე მიიპყრო მსწავლელთა ყურადღება. მას იწვევენ ლექციების წასაკითხათ: ლონდონში, პარიზში, უენეციაში, ბერლინში, შვეიცარიულ შტატებში და სხვაგან. გარდა ამისა პროფ. მასარიკს, როგორც პოლი-

ტიკურ მებრძოლს, აქვს თავისი 'საკუთარი შეხედულებანი თანამედროვე წესწყობილების ძირითად საკითხების—სოციალიზმის, დემოკრატისმისა და ეროვნული პრობლემის შესახებ.

მასარიკი მარქსისტი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმი ახალგაზდობაშივე შეისწავლა და ენგელსაც პირადად იცნობდა. მისი აზრით, ისტორიული მატერიალიზმი ცალმხრივია, სოციალიზმი მარტო ეკონომიური და მუშათა საკითხი არ არის, იგი საკითხია აგრეთვე ჰუმანიზმის, ეთიკისა და კაცობრიობის. ამიტომ ფიქრობს მასარიკი—დღეს სოციალური საკითხი არის საკითხი სოციალიზმის. ამ ქამათ სოციალიზმი თავის შემოაბობთ და პრაქტიკით ყველას ვალდებულათ ხდის რევიზია უყოს თავის შეხედულებასა და ცხოვრებას. ვინაიდან სოციალიზმი არის დღეს ცენტრი ჩვენი შეგნების, ცოდნისა და სინდისის.

აქედან ცხადია, რომ ბოლშევიზმი მისთვის სრულიათ მიუღებელია. ბოლშევიზმი ამბობს მასარიკი, რუსული მოვლენა. ლენინი იყო ტიპიური რუსი, რომელმაც გერმანული სოციალიზმი დამახინჯა. ლენინი და მისი მიმდევრები გამომხატველი არიან რუსის წერა-კითხვის უცოდინარი «მუიკის» ეკონომიური და კულტურული პრიმიტივიზმის. ლენინის ტაქტიკა გვაგონებს მეფე ივანე მრისხანის ტაქტიკას და ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რუსულმა ბოლშევიზმა ცარიზმი ვერ დაამარცხაო.

მარქსიზმის ფილოსოფიას არ ვიღებ, სწერს მასარიკი, მიუხედავად ამისა სოციალიზმი მწაამს, მაგრამ ისეთი, რომელიც დემოკრატიზმს არ უარყოფს და რომლისთვისაც დემოკრატია არის, არა მარტო ეკონომიური პრობლემა, არამედ—ფილოსოფიურიც. ჩვენი სურვილია ადამიანს საკმაოდ ქონდეს პური არსებისა, მაგრამ კაცობრიობა არა მარტო პურიტ ცხოვრობს.

რას შეიცავს მასარიკის დემოკრატია?

თანამედროვე დემოკრატის მშობლები არის, ამბობს მასარიკი, საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელიც მან თავისუფლების, ძმობის და თანასწორობის ლოზუნგში გამოხატა. იგი შეიცავს არა მარტო სოციალისტურსა და პოლიტიკურ შინაარსს, არამედ ჰუმანიურსა და არის ყოველგვარი ძალმომრეობის წინამდებე. მოკლეთ, დემოკრატია არის ხალხის ძალა-უფლება, ხალხის მიერ მართველობა, წინამდებე თეოკრატისა, ოლიგარხიისა, ღვთისა და მღვდლის მართველობისა. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, ანარქიას, უსისტემობას და უთავობას. პირიქით—დემოკრატია არის მართვა-გამგებობის მტკიცე სისტემა და მანასადამე—წესრიგო.

თანამედროვე ერი და ეროვნული მოძრაობაც, მასარიკის აზრით, მე-18 და მე-19 საუკ. შვილია. ისიც საფრანგეთის რევოლუციამ მოიყვანა მოძრაობაში და მას შემდეგ გრძელდება დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისთვის ბრძოლა. ერი არის კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ისტორიული მცენება. იგი უფრო ფართო შემეცნებაა, ვინემ კლასი, ეკლესია, ან სახელმწიფო. ზოგიერთები კი, კლასის, ეკლესიის და სახელმწიფოს სამსახურში ხედავენ, ერის

სამსახურს. ეს ასე არ არის. მართალია, ყველი ერთ ცდილობს ქონდეს მას დამოუკიდებელი სახელმწიფო და ერთი, რომელიც ამისკენ არ მიისწრაფვის, იგი ერთი არ არის. მიუხედავად ამისა სახელმწიფო მისთვის საშვალდება და არა მიზანია და ეს ასეა იმიტომ, რომ ერთი და ერთგნება არის საზოგადოების მისწრაფებათა გამოხატულება.

მასარიკს დიდ შეცდომათ მიაჩნია ერისა და კაცობრიობის ერთი მეორისთვის დაპირდაპირება. ერთი კაცობრიობის ნაწილია, ყველა ჩვენ კი—კაცობრიობა. ამიტომ ამტკიცებს მასარიკი, არ არის სწორი დებულება, რომელიც ამბობს: «პირველ ყოვლისა ყველაფერი ერისთვის და შემდეგ კაცობრიობა»ო. მისი აზრით. ამ დებულებას დღეს დიდი და გაბატონებული ერები უფრო იყენებენ, ვინემ ჩაგრული და პატარა ერები, ვინაიდან ისინი ფიქრობენ და ზოგჯერ განზრახ, რომ თავისი იმპერიალისტური მოქმედებით კაცობრიობასა და მის კულტურას ემსახურებიან. საკაცობრიო კულტურის სალოაროში პატარა ერს დიდ ერზე ნაკლები წვლილი არ შეაქვს და თავისთავთ ერის მრავალრიცხოვანობა არაფერს არ ამბობს, ვინაიდან ისტორიული ფაქტებით ვიცით, სწერს მასარიკი, პატარა ერებმა რა დიდი სამსახური გაუწიეს კაცობრიობასო. მაშასადამე, განაგრძობს იგი, პატარა ერს ისეთივე უფლება აქვს დამოუკიდებელ არსებობის, როგორც დიდსო.

კერძოდ ჩეხის ერისთვის ეს უფლება მან ჯერ კიდევ 1897 წ. ავსტრიის პარლამენტში მოითხოვა და ტრიბუნიდან განაცხადა—ჩეხიას აქვს თავისი საკუთარი ისტორია, საკუთარი კულტურა და მას სურს დამოუკიდებლად იარსებოსო.

ამ უკანასკნელ თავის მიზანს მასარიკმა სავესებით მიადწია და მადლიერმა ერმა თავისი ბელადის ეს ღვაწლი საშვილიშვილოთ დააკანონა და 1930 წილს 20 თებერვალს ჩეხ-სლოვაკიის პარლამენტს შემდეგი კანონი გამოაცემია:

«ჩაითვალოს თ. გ.-მასარიკი განსაკუთრებულ პირობათ სამშობლოს წინაშე»ო.

ასეთია მოკლეთ მასარიკის მოღვაწეობის ისტორია ომამდის. მსოფლიო ომში ის 64 წ. მოხუცი ჩაება და მასში მხურვალე მონაწილეობა მიიღო. მისი მოღვაწეობის ეს ხანა არა ნაკლები საინტერესოა, მაგრამ ამაზე ცალკე.

ჩეხია, 1930 წ. მარტი.

პაქი.

**სახელმწიფოთა კონფედერაცია  
და ფედერატული სახელმწიფო**

ჩვენ განვიხილეთ კონფედერაციის იურიდიული ბუნება და ორგანიზაცია, ახლა ვნახოთ, თუ როგორაა განაწილებული სახელმწიფოებრივი უფლებები ცენტრალურ ხელისუფლებასა და შემავალ სახელმწიფოთა შორის. უნდა მივაქციოთ ყურადღება ამ საკითხის ორ მხარეს. პირველია დამოკიდებულება უცხოელ სახელმწიფოებთან—კონფედერაციის არსებითი დანიშნულება ხომ ისაა, რომ მფარველობა გაუ-

წიოს უცხოეთის წინაშე კონფედერალურ სახელმწიფოებს. ამ მიზნისათვის მას უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ხასიათის უფლებები. ხოლო ეს უფლებები აღმასრულებლობითი არაა: საერთაშორისო პირგონება აქვთ წევრებსაც, ვინაიდან ისინი არიან სახელმწიფოები და მაშასადამე აღჭურვილი არიან საერთაშორისო უფლებებითაც. როგორ ხდება ამ უფლებათა განაწილება? ამის გადაჭრილი პასუხი ძალიან ძნელია, რადგან კონფედერაცია ხელშეკრულებითი კავშირია და ხელშეკრულების ძალით წევრთა უფლებათა შეზღუდვა სხვადასხვანაირია სხვადასხვა კონფედერაციაში. ერთი ნათელი: რაკი კონფედერაცია არსდება იმისთვის, რომ მფარველობა გაუწიოს წევრებს უცხოეთის წინაშე, მას უნდა მიეცეს აუცილებელი საშვალებანი ამ მიზნის მისაღწევად. ამ საზოგადო პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ დასახელებული რთული საკითხის გარჩევის დროს.

საერთაშორისო უფლებები უმთავრესად სამია: უფლება ომის, უფლება წარმომადგენლობის და უფლება ხელშეკრულების დადებისა. ომის უფლება ყველაზე უმძიმესია და იგი აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინიჭებული ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც უამისოდ თავის საქმეს ვერ შეასრულებდა. მაგრამ ხშირად შემადგენელი სახელმწიფოები თავისთვისაც იტოვებენ ამ უფლებას. ასეთი მდგომარეობა იყო შვეიცარიაში 1798-1815 წლებში და შეერთებულ შტატებში 1787 წლამდის.

წარმომადგენლობის (ლეგაციის) უფლება ნაკლები მნიშვნელობისაა და იმდენს შეზღუდვას არ იწვევს. უმეტეს შემთხვევაში შემავალი სახელმწიფოები ფლობენ ამ უფლებას. მაგრამ ხშირად ცენტრალური მართვლობის წარმომადგენლობა უკეთაა მოწყობილი და უფრო წინ დგას, ვიდრე ცალკე წევრების წარმომადგენლობა.

რაც შეეხება ხელშეკრულებათა უფლებას, არ არსებობს ერთი საზომი ყველა ხელშეკრულებისათვის. საერთოდ შემადგენელ სახელმწიფოებს აკრძალული აქვთ ისეთი ხელშეკრულების დადება, რომელიც ეხება კონფედერაციის მთლიანობას და დამოუკიდებლობას. სხვაგვარი ხელშეკრულობა, მაგალ. ეკონომიური და საპოლიციო თვისების, ცალკე სახელმწიფოებს შეუძლიათ დასდენ. ხანდახან საჭიროა დასტური ცენტრალური მართვლობის.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, არ არსებობს ერთი პასუხი. არავინ უარყოფს ცენტრის უფლებებს, ხოლო არაა თანმობა იმის შესახებ, ეს უფლებები მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ეკუთვნის თუ მასთან ერთად ადგილობრივ მართვლობებსაც. პირველი უმჯობესია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ წევრების სუვერენობაც. მეორეს მხრით, როცა დასახელებულ უფლებებს სარგებლობს ცენტრთან ერთად შემადგენელი სახელმწიფოებიც, ეს ასუსტებს კონფედერაციას და ხელს უშლის მიზნის შესრულებას.

ამრიგად მოკლედ თვალის გადავლება სახელმწიფოებრივ უფლებათა განაწილების გვიჩვენებს, რომ ცენტრალური ხელისუფლების უფლებები მეტად შეზღუდულია: საკანონმდებლო უფლება დატოვე-



ბული აქვთ წევრ-სახელმწიფოებს, გარდა ზოგიერთისა—რაიც აუცილებლად საჭიროა მთლიანობისათვის—მაგ. ფულის, ბაჟების და სხ. შესახებ. ასევე აღმასრულებლობის და სასამართლო დარგში. უფლებრივად არა ითქმის რა იმის წინააღმდეგ, რომ არსებობდეს ფედერალური სასამართლო, ფედერალური ჯარი, ფინანსური ორგანიზაცია. მაგრამ სინამდვილეში ეს არაა. კონფედერაციაში უმეტესად შემადგენელი სახელმწიფოები თავისთვის იტოვებენ სახელმწიფოებრივ უფლებებს და უთმობენ ცენტრალურ ხელისუფლებას უფლებათა მინიმუმს განსახლრულო მიზნის განსახორციელებლად.

ვიდრე გავათავებდეთ კონფედერაციის დახასიათებას, უნდა ავღნიშნოთ კიდევ შემაჯავალ სახელმწიფოების ორი უფლება: ერთია გაუქმების და მეორე გასვლის უფლება, რაიც ძალზე ასუსტებს კონფედერაციის აგებულებას. გაუქმების უფლება მდგომარეობს მსჯავრის დადებაში, როცა კონფლიქტი ხდება ცენტრალურსა და ადგილობრივ მთავრობათა შორის: როცა ცენტრი მოიქმედებს ისეთს რამეს, რომელიც აღემატება მის, ხელშეკრულობით დათმობილ უფლებას. შემაჯავალ სახელმწიფოებს შეუძლიათ არ დემორჩილონ და გამოაცხადონ, რომ ცენტრის აქტი მისთვის სავალდებულო არაა. გასვლის უფლება ნიშნავს იმას, რომ წევრ-სახელმწიფოს შეუძლია გავიდეს კონფედერაციიდან, როდესაც ამას საჭიროდ დანახავს თავისთვის. ესაა უკიდურესი განცხადება თავის სუვერენობის. ხელშეკრულებაში ამის მოუხსენებლობა წევრს არ აბრთვეს გასვლის უფლებას. ზოგიერთი ავტორები იმასაც კი ამბობენ, რომ ნებაყოფლობითი უარისთქმაც ასეთ უფლებებზე ვერ შებორკავს სახელმწიფოს, რადგან სუვერენობის, საკუთარი არსებობის დაცვა მისთვის უპირველესი საქმეა.

ყოველივე ზემონათქვამი გვიმტკიცებს, რომ კონფედერაცია არაა დამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, მისთვის ძნელია განახორციელოს მიზანი, რისთვისაც დაარსდა, ე. ი. მოუპოვოს კონფედერალურ სახელმწიფოებს უშიშროება გარეგანი და შინაგანი: ცენტრალური ხელისუფლების საკანონმდებლო უფლებები სუსტია და მტკიცე შედეგებს ვერ მოგვცემს; მის მუშაობას აბრკოლებს ქიშპობა ცენტრალურსა და ადგილობრივ მართველობათ შორის და თვითონ შემადგენელ სახელმწიფოებისა ერთმანეთთან. კანონების და დადგენილებათა შესრულება ხშირად დამოკიდებულია წევრ-სახელმწიფოების კეთილ სურვილზე.

ამ მოსახრებათა გამო, ყოველ კონფედერაციას ისე უნდა ვუყუროთ, როგორც გარდამავალ ფორმას, რომელიც შესაძლებელია ხანგრძლივიც გამოდგეს: ბოლოს და ბოლოს კონფედერაცია ან უნდა დაიშალოს ან—ეს უფრო ხშირი მოვლენაა—უნდა გადაკეთდეს უფრო მჭიდრო კავშირად—ფედერალურ სახელმწიფოდ, რომლის დახასიათებას შევეცდებით შემდეგ წერილში.

**საბერძნეთის განთავისუფლების ასი წლის თავი**

თავის დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლის თავზე, საბერძნეთი დღეს დიდ ზეიმს აწყობს, შორეულ წარსულს იგონებს და ეს დღესასწაული გავრცელებდა ოქტომბრამდე.

რა ახასიათებს აქ დღესასწაულს? რითაა ის ჩვენთვის საყურადღებო?

მასთან ჩვენ გვაერთებს არა მარტო ის, რომ საბერძნეთის დიდი წარსული, დიდი ცივილიზაცია აქვს და რომ ამ წარსულთან, ამ ცივილიზაციასთან ჩვენს ერს ხშირი კავშირი ჰქონია.

ამ დღესასწაულში ქართველი ერისათვის არც ის არის უმთავრესი, რომ დღევანდელი ბერძნების მოგონებაში დიდი ადგილი უკავია ჩვენთვის ძვირფას პოეტს ესხილეს, რომელმაც კავკასიონის ქედზე მიჯაჭული ამირანის სახით ტანჯულთა უკვდავი სურათი მისცა კაცობრიობას, რომ ეს სურათი ამ უამად ქართველი ერის ნამდვილი სახეა და რომ ის ათინის თეატრში წარმოდგენილი იქნება.

საბერძნეთი ზეიმობს თავის დამოუკიდებლობის აღდგენას. ეს ჩვენი დღესასწაულიც არის, იმიტომ რომ მისი და ქართველი ერის ბედი საუცხოვოთ შეუკავშირებია ისტორიას: საბერძნეთი ქართველი ერის წინამორბედი გაჭირვებაში, წინამორბედი და აღზნებამაა.

ერთმა და იმავე მოვლენამ, კონსტანტინოპოლის დაცემამ, ერთი და იგივე უბედურება დაატეხა ორივე ერს—ორივეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაუკარგა: საბერძნეთს ბევრათ უფრო ადრე, საქართველოს უფრო გვიან, თანდათან ჩამორჩინის—დაუძღურებას სახით, მარა უსათუოდ იმავე მიზეზის გავლენით უცხო მხაგრელთა უღელი დაედო.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ წამოყენებული ნაციონალური პრინციპები—ერის თვითგამორკვევა, ნაციის სახელმწიფოთ აღიარება—პირველათ საბერძნეთის საქმეში პოპულარს პრაქტიკულ გამოხატულებას, რომლის მავალითს ბაძავეც შემდეგ გერმანია და იტალია, ერთიც და მეორეც ყალიბდება ეროვნულ სახელმწიფოებათ. მას შემდეგ ეს პრინციპები ყველგან იმარჯვებს. მართლაც ამ ერთი საუკუნის განმავლობაში მრავალი ერი განთავისუფლდა უცხოელთა ჩაგვრისაგან და დაიარსეს საკუთარი სახელმწიფო. ამათი რიცხვი უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ათეულს აღემატება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქენევის უნივერსიტეტში სწორედ იმ დარბაზში, სადაც ჩვენმა დაუფიწყარმა კ. ჩხეიძემ ექვსი წლის წინად სიტყვა წარმოსთქვა, იმავე ყ. მარტენის თავმჯდომარეობით გაიმართა 3 აპრილს საზეიმო სხდომა საბერძნეთის განთავისუფლების ასი წლისთავის მოსაგონებლათ.

ისიც საყურადღებოა, რომ ორატორთა რიცხვში იყო იგივე მალში, რომელიც მაშინ თავმჯდომარეობდა კარლოს რეფერატს და კრების გახსნისას ფრიად გრძნობიერი სიტყვაც წარმოსთქვა. მარა ამ დღეს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ალბერტ

ტომას ღრმა აზროვნება და ჩვეულებრივ მჭევრმეტყველობით წარმოთქმულმა სიტყვამ. მან სხვათა შორის ძლიერ ხაზგასმით სთქვა, რომ ასი წლის წინათ დაწყებული ერთა განმათავისუფლებელი დიადი მოძრაობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგის შექმნა სწორედ ამ მოძრაობის პრინციპების საბოლოო დამკვიდრებას მოასწავებს და თუმცა ეს ლიგა უკვე ათი წელია არსებობს. არიან კიდევ ერები, რომლებიც თავისუფლებას მოკლებულნი არიან და სანამ ისინი არ განთავისუფლებულან, არ შეიძლება ეს პრობლემა დამთავრებულათ ვიცნოთ. საჭიროა საზოგადო აზროვნება შეუწყვეტილ თხოვლობდეს მთავრობებისაგან და ლიგისაგან მის განხორციელებას. და დასძინა მაშინვე სმამალეებით: «ჰო ვიცი, მეტყვიან, თქვენ ბალკანიზაცია გინდათო, მარა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნამდვილი მშვიდობიანობა და სამართლიანობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა ყველა ერები ერთნაირად თავისუფალი იქნებიანო». ამ სიტყვას დამსწრენი მხურვალე ტაშის ცემით შეხვდნენ.

განა წარმოიდგენდა ვინმე 1821 წ. 25 მარტის შემდეგ, როცა ერთი მუჟა შეთქმულები ბრძოლის ველზე გამოვიდნენ და ყველანი უმოწყალო დახრცილ იქნენ სულთანის ჯალათების მიერ, საბერძნეთი როდესმე განთავისუფლდებოდა? არა, ეს იმ უამად შემოიღოთა ოცნებას წარმოადგენდა. მაშინ ყველაფერს უნუგეშობის დადი ერტყა. თვით გამოსვლებიც ბერქენთა რევოლუციონერებისა შემდეგ წლებში იმავე უიმედობის და სასოწარკვეთილების მაჩვენებლათ იყო მიჩნეული... აი, არ გასულა ათი წელიც, რომ საბერძნეთში 25 მარტის 1830 წ. დამოუკიდებლობის დროშა აიშარათ!

ქართველ ერს დღეს ბევრათ უფრო უკეთესი პერსპექტივები აქვს, ვინმე მაშინ საბერძნეთს. მას აქვს უტყუარი საბუთი ახლო მომავალს სრული იმედით შეყურებდეს: მისი განთავისუფლების უამი არ დაიყოვნებს.

ხ. შავიშვილი.

**ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ზ ი ა**

დ. შარაშიძე: ჰ. ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო. წინასიტყვაობა კ. კაუცკის. გამომცემი პასკალის, პარიზი. ფასი 12 ფრ. (ფრანგულ ენაზე)

ფრანგის მწერალმა, გამოჩენილ რომანისტმა ჰანრი ბარბიუსმა ხელი მოკიდა ბოლშევიკების საქმიანობის დაცვას და საქართველოს დაპყრობის გამართლებას. ამისათვის მან ჯერ ყურნალ «მონდ»ში მოათავსა რამდენიმე წერილი და შემდეგ წიგნიც გამოსცა ამ სათაურით: «აი რა უქნეს საქართველოს».

როგორც ზოგმა სხვამ, უფრო წვრილმა მწერალმა და «დელეგატმა», ჰ. ბარბიუსმაც, საქართველოში ნამგზავრი კაკის ავტორიტეტით და «ადგილობრივად შემოწმებულ ცნობების» სახით, იკადრა ევროპიელ მკითხველთათვის აუარებელ ჭორობის და სამარცხენო სიცრუის მიწოდება საქართველოს ახ-

ლო წარსულის და იმის დღევანდელი ვითარების შესახებ. ამნაირად, ბოლშევიკებმა მოინდომეს ფრანგულ ენაზე დაწერილ წიგნით და გამოჩენილ მწერლის კალმით ევროპიელ მკითხველისათვის ისეთი «ცნობების» მიწოდება, რისი თქმას საქართველოში თვითონაც კი ერიდებიან, იმდენათ ეს «ცნობები» ეწინააღმდეგება სინამდვილეს და თვით ბოლშევიკების ნაწერებს საკუთარ ნამოქმედარის შესახებ.

ბ. ბარბიუსის წიგნი მოთხრობილია საქართველოს დამოუკიდებლობის ცრუ ამბავი და სიცრუით აღსავსე ისტორია ქართველ ერის რევოლუციონურ და განმათავისუფლებელ ბრძოლის სულ სხვადასხვა პერიოდში, ქებაა ბოლშევიკების და გამასხარავება დამოუკიდებლობის. ამავე დროს ავტორი გამოდის როგორც სოციალისტი, როგორც მშრომელთა დამცველი და ამასარბელები...

დ. შარაშიძე თავის შრომაში არჩევს ბ. ბარბიუსის ნაწერს; ისიც იმავე საზომით, ე. ი. მშრომელთა ინტერესების თვალსაზრისით და როგორც სოციალისტი, კვალდაკვალ მიყვება ბ. ბარბიუსს და საბუთებით ხელში სააშკარაოზე გამოაქვს. თუ როგორ თვითონ ბოლშევიკების მიერ მოტყუებული ბ. ბარბიუსი სხვებსაც ატყუებდა. დ. შარაშიძე არ სცილდება არც სფეროს და არც საზომს, რომლის გამოყენება თვით ბარბიუსს მოუსურვებია, და ამ გზითაც არც ერთ «ცნობას» ბარბიუსის მიერ მოყვანილს გაუქარწყლებლად არ სტოვებს. ეს გარემოება სახეში უხდა მიიღოს მკითხველმა, რომ უფრო დააფასოს დ. შარაშიძის წიგნის ნამდვილი ღირსება, რადგან ეს წიგნი თუმცა ისტორიულ ხასიათისაა, მაგრამ არ წარმოადგენს არც საქართველოს და არც საქ. სოც. დემოკრატიულ პარტიის (რომელსაც უმთავრესად თავს ესხმის ბარბიუსი) ისტორიას—ერთიც და მეორეც, რა თქმი უნდა, გაცილებით უფრო ფართია.— არამედ წარმოადგენს დადებით განხილვას და დოკუმენტალურ ცნობებს იმ ჭორობის წინააღმდეგ, რომელიც ბარბიუსს დაუგროვებია.

დ. შარაშიძის შრომას კ. კაუცკის წინასიტყვაობა მიუძღვის. ერთ დროს ამ გამოჩენილ მწერალმაც და პოლიტიკურ საკითხებში ჰ. ბარბიუსზე გაცილებით მეტად ცნობილმა და ავტორიტეტულმა პიროვნებამ იმოგზავერა საქართველოში და გაეცნო იმ ფაქტებს, რომელსაც ახლა უკანა რიგებით და საშინელს უდიერობით ეპყრობა ბ. ბარბიუსი. საქართველოს მიმართ რაოდენი სიმპატიით და იმის მომავალ დამოუკიდებლობის რაოდენ რწმენით არის აღსავსე ეს წინასიტყვაობა! ხოლო ამ წინასიტყვაობის უდიდესი ღირსება მანაც იმაში მდგომარეობს, რომ კ. კაუცკი ვიწროთ კი არ ეხება საქართველოს საკითხს და ბარბიუსის ნაწერს, არამედ ის ფართოდ სვამს საკითხს: ის უშლის მკითხველს საქართველოს მოკლე ისტორიას, დემოკრატიის როლს პატარა ერების ცხოვრებაში საზოგადოთ, ქართველი ერის ბრძოლას რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და შემდეგ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, ქართველ ერის განსხვავებას რუსის ერისაგან, საბჭოთა რეჟიმის და მოქმედების უკუღმართ მხარეებს და ააშკარავებს ბარბიუსის ნაწერის სრულ სიყალბეს.



ეს წინასიტყვაობა ღრმა ანალიზია და გამართლებათა არა მარტო ჩვენი ბრძოლის ბოლშევიკების წინააღმდეგ, არამედ საზოგადოთ პატარა ერის ბრძოლის დამოუკიდებლობისათვის, ნაციონალური საკითხის პრინციპიალურ სიმალღეზე აყვანა და იქიდან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხის ისეთი გაშუქება, რომელიც აქარწყლებს არა მარტო ბოლშევიკურ წრეებს, არამედ ზოგ არა ბოლშევიკურ წრეებს თითქმის დემოკრატიულ თუ სოციალისტურ თვალთარისით საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო გამოსვლასაც.

დ. შარაშიძის შრომა—კონაა მშვენივრად დალაგებულ საბუთების არა მარტო დამოუკიდებელ საქართველოს, არამედ ძველი რუსეთის და თვით ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებულ წყაროებიდან ამოღებული; ავტორი ალაპარაკებს თვით საბუთებს, ფაქტებს, დასკვნის გამოყვანას კი მკითხველს ანდობს. ამიტომ იგი უფრო ძლიერია და უფრო მჭრელი.

ამ წიგნის თუ არა სპეციალური ხასიათი, ე. ი. იგი რომ არ წარმოადგენდეს პასუხს მხოლოდ ბარბიუსის მიერ აღძრულ საკითხებზე, და იქ რომ მოთხრობილი იყოს ასევე დასაბუთებულად საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მოვლენებიც, რომელსაც ახლა ამ წიგნში ადგილი არ აქვს, ეს წიგნი იქნებოდა საქართველოს მოკლე ისტორია, ჩვენი ქვეყნის წარსულის გასაცნობად მშვენივრად დაწერილი ევროპიელ მკითხველთათვის. ეს ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ავტორს აღნიშნულ შრომაში ასეთი მიზანი არ დაუსახავს.

დ. შარაშიძის წიგნი, როგორც წიგნიც ბარბიუსის, ევროპიელ მკითხველთათვის არის დაწერილი. თუ რამდენათ მიაღწია ჩვენმა ავტორმა მიზანს, ამის შესახებ უმჯობესია თვით ევროპიელების აზრი. კ. კაუციკი სწერს თავის წინასიტყვაობაში: შარაშიძის დიდი დამსახურებია, რომ მან ნიღბი ახადა იმ ტრუკუმანჩიმს, რომელსაც ბარბიუსი ატარებს. თავის წიგნში მან მეტსაც მიღწია; არა მარტო გააშვივლა პანრი ბარბიუსი, არამედ ამავე დროს, და რაც უმთავრესია, მან გამოაშკარავა საქართველოს მდგომარეობა კრემლის მთავრობის ქვეშ... მე არ ვიცი უკეთესი ექსპოზი, თავს რომ უყრიდეს საქართველოში ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში მომხდარ ამბებს, ვინემ მისი წიგნია. ხოლო დასავლეთ ევროპისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს ინფორმაცია ამ პატარა ქვეყნის შესახებ».

— ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, შვეიცარიის პარლამენტის თავმჯდომარე ე. პოლ გრადბერი სწერს დ. შარაშიძის წიგნის შესახებ: «ეს პასუხი შეუბრალებლად ამსხვრევს თავალებულ ბრალდებებს «ცეცხლის» ავტორისას, რომელმაც ამ ამბავში (გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და ბოლშევიკების მხარეზე—კ. კ.) დაკარგა მთელი ის მორალური პრესტიჟი, რომელიც დაკავშირებული იყო მის ლიტერატურულ სახელთან»-ო (იხ. შვეიცარ. გაზეთი «ლა სანტინელა»).

არაა საჭირო ჩამოთვლა სხვა გაზეთების რეცენზიების, რომელნიც დაახლოებით ასევე ახასიათებენ დ. შარაშიძის შრომას.

პ. ბარბიუსი ცნობილი მწერალია, განსაკუთრებით დიდი სახელი მას მემარცხენე წრეებში ჰქონდა და არა მარტო საფრანგეთში, საფრანგეთს გარეთაც. როცა იგი აყვა ბოლშევიკებს და მათის შთაგონებით ყოველად უმსგავსო ცნობები დასტამბა საქართველოს და საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, ისეთი საკადრისი პასუხი მიიღო, რომელმაც ევროპის სწორედ მემარცხენე პოლიტიკურ მიმდინარეობის საუკეთესო წარმომადგენლების თვალშიც დამცირა მისი პრესტიჟი.

ესაა საუკეთესო დაფასება დ. შარაშიძის წიგნის. ამასთან ერთად ის გარემოება, რომ ამ წიგნის გამოცხლას დიდის სიმპატიით შეხვდა ევროპის პრესა, მაჩვენებელია აგრეთვე იმის, თუ რამდენათ სამართლიან საქმედ არის მიჩნეული საქართველოს საკითხი ევროპის საზოგადოებრივი აზრის მიერ.

ბ. ბ.

### წ ლ ი უ რ ი . ა ნ გ ა რ ი შ ი

ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტისა.

კომიტეტი დაარსდა წარსული წლის მარტში საქართველოს ელჩის ბ. ა. ჩხენკლის თავმჯდომარეობით, ასე რომ მისი მოქმედების საანგარიშო პერიოდი დასრულდა ამ წლის თებერვლის გასულს. წესდების შედგენაში ბევრი შრომა გასწია დ. შარაშიძემ. რეგისტრაცია მოხდა თანხმად კანონისა პარიზის პრეფექტურაში. ჩვენს საზოგადოებას აქვს კავშირი ფრანგულ ანალოგიურ საზოგადოებასთან და ამ გვარად ჩვენც შევდივართ ანტი-ტუბერკულოზის საერთაშორისო კავშირში. ჩვენ აგრეთვე უფლებამოვიპოვეთ ვინმარით ემბლემად ჩვენი საზოგადოებისა საერთონიშანი, ე. ი. ლორენის წითელი ჯვარი.

კომიტეტის დაარსება გამოიწვია იმ გარემოებაში, რომ ტუბერკულოზით ავადმყოფთა რიცხვი ამ ათწელიწადში გაიზარდა ქართველ ემიგრაციაში, და მათზე მუდმივი ზრუნვა შეეძლო მხოლოდ საგანგებო ირგანიზაციას. საჭირო და აუცილებელი გახდა ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც მიზანშეწონილად გაუქვებოდა ემიგრაციის შეკავშირებულ, გაერთიანებულ ძალას ამ სენთან საბრძოლველად. ეს აზრი უკვე იმდენად მომწიფებული იყო, რომ კომიტეტმა იმავე თავიდან ადვილად მოიპოვა ქართველთა ყველა წრეების თანაგრძობა, მით უმეტეს რომ თვით კომიტეტის ბუნება და საგანი არის ავთომყოფე ზრუნვა-დანხმარება, რა წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი.

მოგვეხსენებათ რომ კომიტეტს მეტად ძნელ პირობებში მოუხდა მუშაობა, არავითარი თანხა, ფონდი ან რამე მუდმივი შემოსავლის სახსარი მას არ გააჩნდა არც დაარსების მომენტში და არც შემდგომში. ამიტომ მას არა ჰქონდა წინდაწინვე ნავარაუდები ბიუჯეტი და მხოლოდ ნელ-ნელა გამოირკვა და ისიც დაახლოებით მისი ქონებრივი ძალა და არსებობის წყაროები.

რასაკვირველია კომიტეტს ნათლად აქვს ვათვალისწინებული და შეგნებული, თუ როგორი უნდა ი-

ყოფის მოქმედების გეგმა. თვით ეს გეგმა საძებნელი არ იყო.—იგი დიდი ხანია აქვთ ანალოგიურ მებრძოლ ორგანიზაციებს და კიდევ ასორციელებენ მას, რადგან ამისი ძალა შესწევთ. სამწუხაროდ ჩვენი კომიტეტი ასეთ პლანებს ვერ დაისახავდა. კომიტეტს სურდა შეექნა პარტიის ახლო მიდამოებში ისეთი თავისუფალი, სადაც ავადმყოფები ისარგებლებდნენ წმინდა ჰაერს და ექიმობას, მაგრამ საჭირო თანხა ვერ იშოვა. საკუთარ სანატორიუმზე ფიქრიც სომ შეუძლებელია. კომიტეტმა მინც მიაღწია ისეთ მიწამუს, რომელიც ჩვენი ცხოვრების პირობებში და ემიგრაციის ქონების მიხედვით უნდა კმაყოფილებით ავლნიშნოთ. კომიტეტი დახმარებას უწევდა მხოლოდ საფრანგეთში მცხოვრებ ავადმყოფთ, თუმცა თქმა არ უნდა ტუბერკულოზით ავადმყოფნი სხვა ქალაქებშიაც მოიპოვებინა.

კომიტეტის შემოსავალი წყარო იყო ნებაყოფლობითი ქველმოქმედება. შემოწირულებას იღებდა არა მარტო საფრანგეთში მცხოვრებ ქართველები-საგან, არამედ თითქმის ყოველი კუთხიდან, სადაც კი ქართველები ცხოვრობენ: ვარშავა, პრაღა, ხარბინი, ოდენკური საფრანგეთში, ყველამ შემოიტანა თავისი წვლილი.

კომიტეტის დაარსებისათნავე საქართველოს მთავრობამ აღუთქვა დახმარება და კომიტეტმა უკვე მიიღო მისგან 3. 500 ფრანკი.

პარტიის ქართველ საზოგადოების შეძლებული წევრნი, რომელთა რიცხვი სამწუხაროდ ფრიად მცირეა, დიდი მადლობის ღირსნი არიან უზვი და ყოველთვის დაუხარებელი დახმარებისათვის. კომიტეტი განსაკუთრებულ მადლობას უცხადებს ბ. ბ. გ. ბერიძეს, ა. ხ. ა. ჯაყელს, დ. სხირტლაძეს, ი. ელიგულაშვილს, ჩაჩიბაიას, რომელნიც გარდა სისტემატიური შემოწირულებისა, შემთხვევითაც მრავალჯერ დაეხმარნენ კომიტეტის კასსას.

გარდა კერძო პირთა, კომიტეტს დახმარებას უწევდნენ სხვადასხვა ორგანიზაციები, მაგ. ქართველი ასოციაცია საფრანგეთში,—მისმა თავმჯდომარემ ბ. სხირტლაძემ გადმოსცა კომიტეტს 1000 ფრ.,—ოდენკურის ასოციაცია—ოდენკურის ქართველთა საწევრო გადასახადი (მ. ბარამიძე), პრაღის ქართველთაგან (ე. ლომთათიძე), ვარშავის ქართველებისაგან (ბ. იმნაძე), შორეული ხარბინიდან კომიტეტმა მიიღო ბ-ნ ხანიდრავასაგან შესამჩნევი თანხა (5299) ფრანკი.

მინც უმთავრეს წყაროდ კომიტეტის მიერ გამოართული საღამოები უნდა ჩაითვალოს. ერთი წლის განმავლობაში სულ ექვსი საღამო გაიმართა, რომელთა შემოსავალი თითქმის 14, 000 ფრ. უდრის.

კომიტეტი ესმარებოდა ტუბერკულოზით ავადმყოფთ, თუმცა იყო ორიოდე შემთხვევა სხვაგვარ ავთმყოფთ დახმარებისაც.

სანაგარიშო წლის განმავლობაში დახმარება აღმოუჩინა სულ 40 ავადმყოფს, რომელნიც სამ კათეგორიას წარმოადგენენ:

1. რეგულიარული ყოველთვიური დახმარება მიიღეს—4, ამთგან 2 სანატორიუმში იმყოფება, 2 თავის ბინაზე.

2.—რომელთაც წლის განმავლობაში მიიღეს უმეტეს ნაწილათ. ასეთებია—10.

2.—დროგამოშვებით: გაიზავნა სოფელში დასასვენებლად—8. მიეცათ დახმარება წამლობისათვის და კვების გასაძლიერებლათ—26 და სხვ.

კომიტეტის სრულ ხარჯზე იყო მხოლოდ ერთი ავადმყოფი.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ ხუთი ავადმყოფის გარდაცვალება. ყველას კარგათ მოეხსენება, რომ ტუბერკულოზით ავადმყოფს მზრუნველობა თავიდანვე უნდა. ჩვენი ავადმყოფები კი უსახსრობის გამო, იძულებული არიან ხშირად იმუშაონ ვიდრე ფიზიკური ძალა შესწევთ და ექიმობაზე ძალიან დაგვიანებით თუ იფიქრებენ.

ნათქვამის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე სასიამოვნო და გამამხნეველი ფაქტებიც:

ავადმყოფთა შორის 6 უკვე შესამჩნევად უკეთ არის. სანატორიუმში მოთავსებულნი სამი სხვა ბევრათ უკეთ შეიქნენ. რაც შეეხება დანარჩენებს, უნდა ითქვას, რომ კომიტეტის მზრუნველობას და დახმარებას ერთგვარი დადებითი შედეგი მოაქვს. გარდა ფინანსური დახმარებისა ავადმყოფნი დარწმუნებულნი არიან, რომ მათ გაუივრებაში პატრონი და მზრუნველი ჰყავთ, და ეს დიდ მორალურ გავლენას ახდენს მათზე.

შემოსავალ-გასავლის ციფრები შემდეგ სურათს იძლევიან:

	შემოსავალი	გასავალი
1929 წ. მარტი	2890	1369.55
» აპრილი	3780.05	2606.60
» მაისი	2055.50	3396.90
» ივნისი	3501.50	3563.10
» ივლისი	6929	4030.25
» აგვისტო	942.85	4094.45
» სექტემბერი	625	1363.10
» ოქტომბერი	4213.10	3711.05
» ნოემბერი	2395	2407.70
» დეკემბერი	4586.35	2536.10
1930 წ. იანვარი	1420	3580.30
» თებერვალი	2690.50	2581.55

ფრ. 36.028.50 ფრ. 35.240.65

შემოსავალში ნაანგარიშევი 1000 ფრ. კერძო ვალი, რომელიც ამ ქამად გადახდილია.

კომიტეტმა მიიღო:

- 1) ხარბინიდან (ბ. ხანიდრავა) 5299
- 2) ვარშავიდან (ბ.ბ. იმნაძე, სალაყაია) 1827.35
- 3) პრაღიდან (ბ. ლომთათიძე) 280
- 4) ოდენკურიდან (ბ. ბარამიძე) 990

კომიტეტი აქვე ვალად რაცხს, გულწრფელი მადლობა განუცხადოს ჩვენ ძვირფას თანამემამულეთ ასეთი გულშემატკივრობისათვის.

კომიტეტი აგრეთვე მადლობას უცხადებს ბ.ბ. კ. კანდელაკს, დ. ფერაძეს, პაპავას, კვიტაშვილს, სარჯველაძეს და სხვ. საწევრო გადასახადის მოგროვებისათვის. საწევრო გადასახადმა შემოიტანა 3500 ფრ.

კომიტეტის შემადგენლობა შემდეგი იყო:

საპატიო თავმჯდომარე საქართველოს ელჩი საფრანგეთში აკ. ჩხენკელი, თავმჯდომარე ელ. აფხა-

ზისა. თანაშემწეები: ს. ბაგრატიონ-მუხრანსკისა, ი. ყორღანიასი. წევრები: კოლონიის თავმჯდომარე დ. სხირტლაძე; ექიმები: ვ. დამბაშიძე, ხოჭოლავა, ყორ-ყოლიანი, ე. დეკანოზისა, გ. ერისთავი. კომიტეტის მდივნობა დაევალა ბ. ა. ყორყოლიანს, მოლარეობა ელ. დეკანოზისას. ექ. ა. ყორყოლიანი ასრულებდა მდივნის მოვალეობას მხოლოდ ნ თვის განმავლობა-ში, რადგან პირადი საქმეების გამო იძულებული იყო პარიზიდან წასულიყო; დანარჩენი ნ თვე მოლარემ ელ. დეკანოზისამ დროებით იკისრა მდივნის მოვა-ლეობა.

კომიტეტის სხდომებს ესწრებოდა აგრეთვე და თავის შრომით ეხმარებოდა კომიტეტს ახალგაზდა ექიმი ქალი ა. ელიგულაშვილი, რომელმაც საქიმო განათლება მიიღო პარიზში.

კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე ა. ჩხენკელი.

კომიტეტის თავმჯდომარე ელ. აფსახისა.

თანაშემწეები: ს. ბაგრატიონ-მუხრანსკისა, ი. ყორღანიასი.

წევრები: გ. გნისთავი, ვ. დამბაშიძე, ა. ყორყო-ლიანი, სეკოლავა, დ. სხირტლაძე.

მოლარე ელ. დეკანოზისა.

**პატივცემულ ბატონო რედაქტორ!**

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ გახეთში ჩვენს განცხადებას, რომ ტუბერკულოზით ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტმა აპრილში მიიღო შემდეგი შე-მოწირულებანი, რომელიც წლიურ ანგარიშში არ არიან ნაჩვენები.

ქართველთა ასოციაცია პარიზში	1000
ოდენკურის ქართველთა ასოციაცია	200
ოდენკურის ქართველთა საწევრო გადას.	200
პრადის ქართველთა საწევრო გადასახადი	286.65
ბიურო საქ. ს.-დემ. პარტ. საზ. გარედ	300
ფრ. 1986.65	

კომიტეტი უღრმეს მადლობას უცხადებს რო-გორც შემომწირველთ აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც იკისრეს ამ თანხების მოგროვება.

კომიტეტის თავმჯდომარე ელ. აფსახისა.

მოლარე ელ. დეკანოზისა.

**წერილი რედაქციისადმი.**

თქვენ პატივცემულ ყურნალში იბეჭდება ტუ-ბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა კომიტეტის მოქმედების წლიური ანგარიში. გთხოვთ საშუალება მოგვცეთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ რომელნიც თავისი უანგარო შემწეობით სხვადასხვა გვარად ხელს უწყობდენ კომიტეტს და განსაკუთრე-ბით საღამოების მოწყობაში მთელი წლის განმავ-ლობაში.

გარდა თვით კომიტეტის წევრთა, რომელნიც პი-რადი შრომის გარდა ფულით ან სანოვანის მიწოდე-ბით ეხმარებიან, უნდა აღვნიშნოთ გარეშე პირნი მა-თი სისტემატიური დახმარებისათვის.

ქ-ნნი ქ. რატიშვილი, ბ. ჯავრიშვილი-ჰელმისა, ექ. ანთაძე-პერრიე. მუდმივი შრომითა: ბ-ნნი ბ. რა-

მიშვილი, მ. ნასყიდაშვილი, ლ. ზურაბიშვილი, ლ. ჯაყელი, ა. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ს. მაისურაძე, ი. კალანდარაშვილი.

სანოვანო გვეხმარებიან: ქ-ნნი გვანავასი, გეგე-ქკორისა, გოგუაძისა, მ. ელიგულაშვილისა, ა. ელი-გულაშვილი, მ. ჩხენკელისა, ფერაძისა.

ბ-ნნი: ბალანჩივაძე (ყოველ საღამოზე), ქარუმიძე, კახელაძე, მოსულიშვილი.

ქ-ნნი: თ. ერისთავისა, ც. ვაჩნაძე, მ. ვაჩნაძე-კოსტ, ელ. ყაზბეგი, მ. კვინიტაძისა, ს. დამბაშიძე, ბ. ერის-თავი, თ. ჯაფარიძე, ა. ყორღანი.

ტუბერკულოზით ავადმ. დამხმარე კომიტეტი.

**აჯანყება აზერბეიჯანსა და სომხეთში**

რუსულ გაზ. «დნი»-ში, ფრიად საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი აზერბეიჯანისა და სომხეთის შესახებ: მოძრაობა ბალშევიკების წინააღმდეგ აკ-ტიურ ხასიათს იღებს და ადგილი აქვს ფართო ხალ-ხურ აჯანყებებს. ცნობები გამოგზავნილია თავრიზი-დან და ემყარება ადგილობრივ სპარსულ გაზეთებს და იმ გარდამოხვეწილთა გარდმოცემას, რომელთა რიცხვი სპარსეთში ძალიან გამრავლდა ბოლო დროს.

ყველაზე უფრო მნიშველოვანია ა. კ. გეპუუს უფროსის მარტინოვის და მისი რაზმის ამონოცვა-გეოქჩაის რაიონში კოლექტივიზაციის და სარწმუ-ნებრივი შევიწროების ნიადაგზე მაჰმადიან გლეხ-თა შორის აღელვება დაიწყო. მათ დასამშვიდებლად ბაქოდან მარტინოვი გავზავნეს ორმოცი ჩეკისტის თანხლებით. მარტინოვი რომ ადგილზე მივიდა, ნახა რომ მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო და აზე-რბეიჯანელ და რუსის ეროვნულ ნაწილებისაგან შე-მდგარი ჯარი მოითხოვა. სამი დღის დარბევისა და მრავალის დატუსაღების შემდეგ, გეპუუს უფროსმა «წესიერება აღადგინა» და ბაქოში დაბრუნებას აპი-რებდა. მაგრამ დამით მისი ჯარს თავს დაესხნენ აჯან-ყებული გლეხები და მილიციონერები. გაიმართა ნა-მდვილი ბრძოლა, რომლის დროს აზერბეიჯანელი წითელარმიელები ხალხის მხარეზე გადავიდნენ და ტყვიისმფრქველები დაუშინეს ჩეკისტებს და რუ-სის წითელარმიელებს. დასოცეს მარტინოვი, ორმო-ცი ჩეკისტი და 400 რუსის ჯარისკაცი. აჯანყებულე-ბმა გაიტაცეს იარაღი და გაიხიზნენ მთებში.

აჯანყებულთა და ჩეკისტთა შორის შეტაკება იყო ევლანის, პაჯიქაბულის, მეტაბეგის და სხვა რა-იონებში, ხოლო ყველაზე უდიდესი მოხდა ყარასახ-კალეში, სადაც აჯანყებულთა წინააღმდეგ იბრძოდა ორი ათასი წითელარმიელი. აჯანყების ცენტრია ყა-რაბახი და სპარსეთის მოსაზღვრე ადგილები. იქ გაგ-ზავნილია აზერბეიჯანის გეპუუს თავმჯდომარე ბაკი-როვი. ხალხი მთებშია გახიზნული, სოფლებში მარ-ტო მოხუცებულები, ქალები და ბავშვები დარჩნენ. აჯანყებულები ავრცელებენ პროკლამაციებს, რო-მელშიაც მოუწოდებენ მცხოვრებლებს განდევნონ «უღვთო და სისხლიანი მართველობა».

ასეთივე ამბებია სომხეთის ზანგეზურის მხარა-

ში. ყოველ დამატებასთან ერთად მოწინააღმდეგეებს და ასახლებენ რუსეთში. გლეხები გარბიან მთებში ან გადადიან სპარსეთში. მათ შორის არიან კომუნისტები და მოსამსახურე პირებიც. აჯანყებულები განსაკუთრებით მტკიცედ არიან ხიზორესკში; რომელიც მიუვალ ადგილს წარმოადგენს. მთავრობამ მოინდომა მოლაპარაკების გამართვა ხიზორესკელებთან, მაგრამ უკანასკნელებმა ბოლშევიკ დელეგატებს თოფი დაუშინეს. შეტაკებები ხდება აჯანყებულთა რაზმებსა და ჩეკისტებს შორის ერევნის მაზრაშიაც...

აზერბეიჯანის და სომხეთის ამბები დიდი ყურადღების ღირსია. ეს არაა რაიმე გამონაკლისი, კერძო და შემთხვევითი მოვლენა, არამედ მკიდროთ დაკავშირებულია. იმ საერთო კრიზისთან, იმ უკიდურესად გამწვავებულ მდგომარეობასთან, რომელშია დღეს იმყოფება მთელი საბჭოთა სამეფო. ხალხი ყოველგან უზომოდ გაუვივრებულია. გაძარცვული, გაწამებული, სულს ძლივს და ითქვამს და მეტის მოთმენა აღარ ძალუქს. საქართველოში, აზერბეიჯანში, სომხეთში. უკრაინაში, რუსეთის სხვადასხვა ნაწილებში უკმაყოფილება მოზღვადა და უნდა გადმოხეთქოს. ჯერ ამას დაქსაქსული ხასიათი აქვს, ვიწრო ფარგლებში ხდება, მაგრამ მალე იფეთქებს საყოველთაოდ, იფეთქებს სტიქიურად და ერთიან წალეკავს მტარვალებს. ჩაგრულთა მილიონების ამოძრავებას ვეღარ შეაჩერებს ბოლშევიკების ძალა.

**ქართულები საზოგადოებაში**

მარტის 30-ს შესდგა საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების წლიური კრება, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. თავმჯდომარემ დ. სხირტლაძემ ყოველი უწინარეს შემდეგის სიტყვით მიმართა დამსწრეთ:

«ჩვენ «საზოგადოებაში» იმყოფებიან სხვადასხვა პარტიები და ჯგუფები და აგრეთვე სრულიად უპარტიონიც. ეს საზოგადოება არსებითად არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ ის მებრძოლ ემიგრაციას შეიცავს და ამის გამო პოლიტიკურ ორგანიზაციის სახეს ატარებს:—ის მებრძოლი ერის ნაწილია, მისი მიზნების და მისი ღირსების გამომხატველი და დამცველი.

ჩვენი «ასოციაცია» ვერ შევა სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა მუშაობის წვრილმანებში, ვინაიდან თავის მუშაობაში ისინი თავისუფალნი არიან,—მაგრამ ემიგრაციას აქვს საერთო ყველასთვის ისეთი მთავარი მიზანი და მორალი, რომლის გადალახვა არ შეუძლიან არცერთს ჯგუფს თუ პიროვნებას, უკეთეს მას «საზოგადოებაში» დარჩენა სურს.

ეს ჩემი განცხადება ამჟამად გამოწვეულია გაზეთ «თეთრი გიორგის» უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ წერილით, რომელმაც ერთსულოვანი აღმფოთება გამოიწვია როგორც ქართველ საზოგადოებაში, აგრეთვე ფრანგთა და სხვა უცხო წრეებში. ხოლო ჩვენი ეროვნულ მიზნების მტრებს მან ფრიად ხელსაყრელი იარაღი მისცა ჩვენს წინააღმდეგ იერიშებისათვის.

რომელიმე ერის და მით უფრო იმ ერისა, რომელიც როგორც რუსეთი, ჩვენი მეზობელია და რომელს მეტად დიდი ანგარიშიც უნდა გაუწიოთ, ასე უშვერი გინება, მისი ენისა და კულტურის ასე ბინძურად შელახვა; არავის ენებს სხვას, არამედ მხოლოდ ჩვენ: ის ლახავს და არცხვენს ჩვენს ეროვნულ ზნეობას და ღირსებას.

ჩვენი ერის მრავალ საუკუნოვანი ისტორია იყო აღვსილი გაუთავებელი ბრძოლებითა და შემოსევებით და არა მარტო ბრძოლითა და თავდადებით გადაიჩინა მან თავი ამ მუდმივ განსაცდელისაგან. არა ნაკლებ ძლიერი საფარი იყო მისთვის ის რაინდული სული და ღირსება, რომელიც ხშირად გაშმაგებულ მტერსაც განაიარალებდა.

ჩვენი ერი ვერ გადასცდება ამ რაინდულსა და კეთილშობილურ ტრადიციებს. ის ვერ აჰყვება დაბალსა და უღირს ზრახვებს. ვერც მშვიდობიანობის ხანაში და ვერც ბრძოლის დროს, ვერც მოყვრისა და ვერც მტრის მიმართ.

ამით აიხსნება, რომ ჩვენი საზოგადოება ასე ერთსულოვანად ჰკმობს «თეთრი გიორგის» ასეთს გამოცვლებს და იმედი მაქვს, რომ ამ ჩემს განცხადებით საკმარისად გამოვხატე ქართველი საზოგადოების შეხედულობა ამ საგანზე და იმედია ამით ამოწურულად მივიჩნევთ ამ ფრიად სამწუხარო ამბავს,—ხოლო ყოველმხრივ შევეცდებით, რომ მომავალში ის არ განმეორდეს.»

კრებამ მოიწონა თავმჯდომარის განცხადება და ერთხმად დაადასტურა იგი. ამის შემდეგ მოსმენილ იქნა გამგეობის ანგარიში და მოხდა არჩევნები. საზოგადოებამ ერთსულოვანად სთხოვა ბ. სხირტლაძეს თავმჯდომარედ დარჩენა. გამგეობის დანარჩენი წევრების არჩევა გადაიდვა მომავალ მაისის 4-თვის.

— მიხ. ნანობაშვილის კონცერტი. აპრილის 6 პლეციის დარბაზში გაიმართა ქართული მუსიკის საღამო ცნობილი ქართველი მომღერალის მ. ნანობაშვილისა. კონცერტი შესდგებოდა სულ ქართული სიმღერებისაგან (არაყიშვილი, ბალახჩივაძე, ფალიაშვილი, სულხანიშვილი, თაქთაქიშვილი, შავერზაშვილი). კონცერტს მრავალი საზოგადოება დანსწრო, რომელიც მეტად ნასიამოვნები დარჩა.

**გვთხოვენ გამოცანად:**

საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგ არეთელ ბიუროში შემოვიდა ბორდოში მყოფ ქართველთა შორის შეგროვილი: გაზეთ «ბრძოლის ხმის» სასარგებლოთ —260 ფრ., გადასახლებულთათვის—50 ფრ.

რედაქციისაგან. უადგილობისა გამო «საქართველო ციფრებით»-ის ვაგრძელება სამწუხაროთ ამ ნომერში ვერ იბეჭდება.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა ამღიჯანვლს შემდეგი მისამართით:

M-r O U R A T A D Z É  
10, rue Jules-Ferry, Leuville-s-Orge (S.-et-O.)  
France